



European Training Foundation

ადამიანური კაპიტალის განვითარების პოლიტიკა საქართველოში

ETF-ის შეფასება

2020 მარტი

პრეამბულა

ევროპული განათლების ფონდმა (ETF) ჩაატარა საქართველოში ადამიანური კაპიტალის განვითარების გარე და ღრმა შეფასება მთელი სიცოცხლის განმავლობაში განათლების მიღების პერსპექტივიდან. ანგარიშში განხილულია განათლების პოლიტიკა და მასთან დაკავშირებული გამოწვევები, რომლებიც აფერხებენ ადამიანური კაპიტალის განვითარებასა და გამოყენებას. ამ გამოწვევების შესაბამისად ჩამოყალიბებულია რეკომენდაციები და მათი გადაჭრის გზები.

ეს ანგარიში “ტურინის პროცესის” ძირითადი შედეგია, რომელიც 2010 წელს ETF-ის ინიციატივით დაიწყო; ანგარიშის მიზანია პროფესიული განათლების შეფასება ადამიანური კაპიტალის განვითარებისა და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის პერსპექტივიდან. პროფესიული განათლების პოლიტიკა შეფასებულია მთელი სიცოცხლის განმავლობაში განათლების კონტექსტში. ის ემყარება 4 ძირითად პრინციპს: მიკუთვნებულობის განცდა (ownership), მონაწილეობა, ჰოლისტური და მტკიცებულებებზე დაფუძნებული ანალიზი.

ETF ადამიანური კაპიტალის განვითარებას განიხილავს როგორც ქვეყნების დახმარებას განათლების უწყვეტი სისტემების შექმნაში. ეს სისტემები, თავის მხრივ, ადამიანებს ეხმარება მთელი ცხოვრების მანძილზე ცოდნის, უნარების, კომპეტენციებისა და დამოკიდებულებების განვითარებაში, რაც აადვილებს მათ დასაქმებასა და შესაძლებლობების რეალიზებას; ეს ყველაფერი კი საბოლოოდ ხელს უწყობს ინოვაციური, ინკლუზიური და რეალიზებული საზოგადოების ჩამოყალიბებას.

შეფასების მიზანია სანდო ინფორმაციის უზრუნველყოფა ეროვნული განათლებისა და სწავლების პოლიტიკის დაგეგმვისა მონიტორინგისთვის და მის საფუძველზე ადამიანური კაპიტალის განვითარება. შეფასება ასევე მიზნად ისახავს შექმნას პოლიტიკის დიალოგის საფუძველი საქართველოს, ევროკავშირსა და სხვა დონორ ქვეყნებს შორის და დაეხმაროს მათ პროგრამების შემუშავებაში.

ETF-ის შეფასებაში გამოყენებულია მტკიცებულებები, რომელიც სტანდარტიზებული მეთოდოლოგიის (ეროვნული მოხსენების ჩარჩოს) გამოყენებით შეგროვდა სხვადასხვა მხარეების ჩართულობითა და მონაწილეობით. გარდა ამისა, ანგარიშში გამოყენებულია სხვა ხელმისაწვდომი ინფორმაცია და მონაცემები, არსებული რესურსები და კვლევები, ფართო სამაგიდო კვლევის შედეგები. ETF-ის შეფასების შედეგები და რეკომენდაციები გაზიარებული და განხილული იქნა ეროვნული ხელისუფლების წარმომადგენლებთან და ბენეფიციარებთან.

ანგარიში იწყება საქართველოს სტრატეგიული გეგმებისა და ეროვნული პოლიტიკის მოკლე მიმოხილვით (თავი 1). შემდეგ განხილულია ქვეყანაში ადამიანური კაპიტალის განვითარებასა და გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები (თავი 2) და საკითხები, რომლებიც ETF-ის ხედვით, დაუყოვნებლივ გადაჭრას საჭიროებს (თავი 3). თავი 4 მოცემულია ანალიზის ზოგადი დასკვნები. დანართებში მოცემულია დამატებითი ინფორმაცია: რეკომენდაციების შეჯამება (დანართი 1), საქართველოს განათლების სისტემა (დანართი 2).

ETF მადლობას უხდის სამუშაო ჯგუფს, რომელმაც მოამზადა ეროვნული ანგარიში, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ყველა საჭირო ინფორმაციის მოწოდებისათვის და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურს, რომელმაც მოგვაწოდა განახლებული ინფორმაცია პროფესიული განათლებისა და სისტემის შესახებ და სამუშაო ძალის კვლევის შედეგები. ანგარიშის ქართული თარგმანი მოამზადა Transtec-მა. დაინტერესების შემთხვევაში, ETF-ის ანგარიშის ორიგინალური ინგლისური ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ამ მისამართზე <https://www.etf.europa.eu/en/publications-and-resources/publications/policies-human-capital-development-georgia-etf-torino>

შინაარსი

პრეამბულა	2
1. შესავალი	11
1.1. ანგარიშის შესახებ	11
1.2. ქვეყნის მიმოხილვა	11
1.3. სტრატეგიული მდგომარეობა	13
2. ადამიანური კაპიტალი: განვითარება და გამოწვევები	16
2.1 მიმოხილვა და ძირითადი მონაცემები	16
2.2. შეზღუდული სამუშაო ადგილები და უმაღლეს განათლებაზე დაბალი მოთხოვნა	19
2.3. ადამიანური კაპიტალის არასათანადო გამოყენება ეკონომიკაში	21
2.4. ახალგაზრდების განათლებიდან დასაქმებაზე გადასვლის გამოწვევები	23
2.5. შრომის ბაზარზე უნარების შეუსაბამობა	25
2.6. სიღარიბე და უთანასწორობა ხელს უშლის ადამიანებს რეალიზებაში	26
3. საკვანძო საკითხების და პოლიტიკის პასუხების შეფასება	28
3.1. არათანასწორი ხელმისაწვდომობა და მცირე მონაწილეობა პროფესიულ განათლებაში	29
3.1.1. პრობლემა	29
3.2. პროფესიული განათლების განსხვავებული ხარისხი და შესაბამისობა	35
3.2.1 პრობლემა	35
3.3. პოლიტიკის პასუხი არსებულ გამოწვევებზე	39
3.3.1. "შესაბამისი პროფესიული განათლების" უზრუნველყოფა	40
3.3.2. უფრო "ხელმისაწვდომი პროფესიული განათლება"	41
3.3.3 უფრო "მიმზიდველი პროფესიული განათლებისთვის"	42
3.3.4. პოლიტიკისა და განხორციელების გამოწვევები	43
4. დასკვნები	50
დანართი 1. რეკომენდაციების შეჯამება	54
დანართი 2. საქართველოს განათლების სისტემა	57

შედეგების შეჯამება

საქართველოს ეკონომიკისა და შრომის ბაზრის ანალიზისას გამოიკვეთა ხუთი საკითხი, რომელიც ქვეყანაში ადამიანური კაპიტალის გამოყენებას უკავშირდება.

პირველი საკითხი მაღალ-კვალიფიციური სამუშაო ადგილების ნაკლებობას უკავშირდება, რომელიც ძირითადად კონცენტრირებულია თბილისში, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ვითარდება ეკონომიკა და უმჯობესდება კონკურენტუნარიანობა. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) გაიზარდა, მაგრამ შედარებით ნელი ტემპით (4.7% 2018 წელს). ქვეყანას აქვს საქონლის სავაჭრო დეფიციტი და მომსახურების ვაჭრობის ჭარბი მაჩვენებელი. აღსანიშნავია მიღწევები მომსახურებაში, განსაკუთრებით ტურიზმისა და სატრანსპორტო (სატრანზიტო) სფეროებში. 2010-დან 2017 წლამდე პერიოდში, დასაქმების ზრდის საშუალო წლიური მაჩვენებელი იყო 1.4%, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის წლიური მაჩვენებელი იმავე პერიოდში 5% -ზე მეტი იყო. ეკონომიკური ზრდა ძირითადად განპირობებული იყო პროდუქტიულობისა და კაპიტალის ზრდით, რამაც ნაკლები გავლენა იქონია დასაქმებაზე.

ეკონომიკური სექტორების მთლიანი ღირებულების ანალიზი აჩვენებს, რომ თითქმის 58% -ს მოდის მომსახურებაზე, 23% ინდუსტრიასა და მხოლოდ 7% სოფლის მეურნეობაზე. ამასთან, 2018 წელს სამუშაოების დაახლოებით 39% იყო სოფლის მეურნეობაში (2010 წელს 48% -ით შემცირდა), სადაც თვითდასაქმებული პირები ან თავად მუშაობდნენ ან იყვნენ არაანაზღაურებადი მუშები. ამგვარი სამუშაოების უმეტესი ნაწილი ნაკლებად სასურველია და დაბალი პროდუქტიულობით ხასიათდება. ინდუსტრიულ სექტორში დასაქმების წილი მცირეა (8%) და ის ნაკლებად იცვლება, ხოლო სამუშაოების დაახლოებით 53% მომსახურების სფეროზე მოდიოდა (2018 წელს 45% -ით გაიზარდა). ეკონომიკური სტრუქტურა ქმნის დისბალანსს იმის გამო, რომ უამრავი ადამიანი იღებს უმაღლეს განათლებას, ხოლო მაღალკვალიფიციურ მუშახელზე მოთხოვნა დაბალია.

მეორე საკითხი არის არსებული ადამიანური კაპიტალის პოტენციალის ნაკლები გამოყენება მიუხედავად იმისა, რომ შრომის ბაზრის მაჩვენებლები თანდათანობითი უმჯობესდება და სოფლის მეურნეობაში დასაქმებულები სხვა სექტორებში გადაიან. ბოლო ათწლეულის პოზიტიური ტენდენციის ფონზე, 2018 წელს სამუშაო ასაკის მოსახლეობის თითქმის 64% ეკონომიკურად აქტიური იყო; კაცების აქტივობის მაჩვენებელი ქალების მაჩვენებელთან შედარებით 18 პროცენტით მეტი იყო. შრომის ბაზარზე სოფლის მაცხოვრებლების მაცხოვრებლების და ქალები ნაკლებად არიან. დასაქმების მაჩვენებელი 55.8% იყო და გენდერული განსხვავება იგივე, რაც ზემოთ მივუთითეთ. ქვედა საშუალო განათლების მქონე პირებს აქვთ ყველაზე დაბალი აქტივობისა და დასაქმების დონე, გენდერული განსხვავებები კი მსგავსია. როგორც აქტივობა, ასევე დასაქმების მაჩვენებლები იზრდება განათლების დონესთან ერთად, კონკრეტულად კი საშუალოდან პროფესიული განათლების მიმართულებით. ყველაზე მაღალი მაჩვენებლები საუნივერსიტეტო განათლების მქონე პირებს აქვთ. სოფლის მაცხოვრებლების უმეტესობა თვითდასაქმებულია სოფლის მეურნეობაში.

კიდევ ერთი გამოწვევაა უმუშევრობის მაღალი დონე. მიუხედავად იმისა, რომ ის დროთა განმავლობაში მცირდება (2010 წლის 16.3% -დან 2018 წელს 12.7% -მდე), მაინც მაღალია საერთაშორისო სტანდარტებთან შედარებით. უმუშევრობა ყოველთვის უფრო მაღალია კაცებსა და საშუალო და უმაღლესი განათლების კურსდამთავრებულთა შორის.

მესამე საკითხია ახალგაზრდების განათლებიდან დასაქმებაზე გადასვლის სირთულე, რაც იწვევს უმუშევრობას ან უმოქმედობას. 2011 წლიდან შემცირების მიუხედავად (40%-დან),

ახალგაზრდების უმუშევრობის დონე საქართველოში კვლავ 30% -მდეა. უმუშევარ მოსახლეობაში, უფრო მეტი ახალგაზრდა ქალია, ვიდრე კაცი და უფრო მეტი სოფლის მაცხოვრებელი, ვიდრე ურბანული მკვიდრი. კიდევ ერთი მაჩვენებელია NEET ახალგაზრდების მაღალი წილი; ესენი არიან ახალგაზრდები რომლებიც არ იღებენ განათლებას, ან ტრენინგში არ არიან ჩართულები და არიან უმუშევრები (NEET). 2018 წელს 15-დან 24 წლამდე ასაკის ახალგაზრდებისთვის ეს მაჩვენებელი თითქმის 27% იყო. ის ასაკთან ერთად კიდევ უფრო იზრდება და 15-დან 29 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში თითქმის 30% -ს აღწევს. ქალებსა და ქალაქებში უფრო მაღალია NEET მაჩვენებელი. NEET- ის ძირითადი მიზეზი ოჯახის პასუხისმგებლობას უკავშირდება, რასაც უმეტესად ქალები ასრულებენ, რაც იწვევს ეკონომიკური საქმიანობის შემცირებას. სხვა მიზეზებს შორისაა, მაგალითად უმუშევრობა, იმედგაცრუება, შეზღუდული შესაძლებლობა ან ჯანმრთელობის პრობლემა და სხვა.

მეოთხე საკითხია შრომის ბაზარზე უნარების შეუსაბამობის შედარებით მაღალი დონე (სხვადასხვა ფორმით). ETF უნარების შეუსაბამობის კვლევის მიხედვით, საქართველოში აღინიშნება როგორც ზედმეტი, ასევე ნაკლები კვალიფიკაციის პრობლემა. 2016 წელს საშუალო განათლების მქონე პირთა 36% მუშაობდა ნახევარკვალიფიციურ პროფესიებში. გენდერული განსხვავება ძალიან მაღალი იყო; კაცებთან უფრო მაღალი შეუსაბამობაა ვიდრე ქალებთან (46% და 26%). 2016 წელს დაბალ კვალიფიკაციებზე საშუალო განათლების კურსდამთავრებულთა 9.4% დაასაქმეს (სახელმძღვანელო უნარების დონე). მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებული STEP (უნარ-ჩვევები დასაქმებისა და პროდუქტიულობის) კვლევის მიხედვით ახალგაზრდა მუშაკებში გამოვლინდა ისეთი უნარების შეუსაბამობა (30 წლამდე ასაკში), როგორცაა ტექნიკური კომპეტენციები და პრობლემების გადაჭრის უნარები. ის ასევე მიუთითებს ინგლისური და ლიდერული უნარების, შემოქმედები და კრიტიკულად აზროვნების უნარების ნაკლებობაზე. შედეგები ეხება როგორც საშუალო, ისე უმაღლესი განათლების კურსდამთავრებულებს. აგრეთვე ჩვეულებრივია, რომ კურსდამთავრებულები მუშაობდნენ მათი განათლების სფეროსგან განსხვავებულ სფეროებში, მაგ. 2017 წელს ტურიზმის მუშაკთა მხოლოდ 17% იყო პროფესიული განათლების (ტურიზმის) კურსდამთავრებული.

მეხუთე საკითხია სიღარიბისა და უთანასწორობის შედარებით მაღალი დონე, რაც ხელს უშლის ადამიანების პოტენციალის რეალიზებას განათლებასა და შრომის ბაზარზე. 90-იანი წლების შუა პერიოდის შემდეგ მდგრადმა ზრდამ შეამცირა სიღარიბე და ხელი შეუწყო საქართველოში საერთო კეთილდღეობის გაუმჯობესებას, მაგრამ სიღარიბის შემცირების ტემპი შემცირდა; ის ასევე დიდწილად უკავშირდება პენსიებსა და სოციალურ ტრანსფერებს, რომელსაც მოსახლეობის დიდი ნაწილი იღებს, რომლებიც უმუშევრები ან დასაქმებულები არიან. შესაბამისად, ხუთიდან ერთი ქართველი კვლავ ცხოვრობს სიღარიბეში და მოსახლეობის ნახევარი სიღარიბისადმი მოწყვლადია. 2016 წელს ჯინის კოეფიციენტი (36.5%) უთანასწორობის მაღალ მაჩვენებელზე მიუთითებს.

სოციალური უთანასწორობა ასევე აღინიშნება უმაღლესი განათლების დონეზე. PISA 2015 წლის შედეგების უფრო ღრმა ანალიზმა აჩვენა, რომ შინამეურნეობის ყველაზე ღარიბი მოსწავლეების 20% აქვს ნაკლები ცოდნა კითხვაში, მათემატიკასა და მეცნიერებაში შეძლებული სტუდენტების 20% -თან შედარებით. სიღარიბე და უთანასწორობა ხელს უშლის ადამიანების სრული პოტენციალის რეალიზებასა და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში წვლილის შეტანაში, რაც საბოლოოდ ქმნიან ბარიერებს მდგრადი ეკონომიკური ზრდისთვის.

როგორ პასუხობს პროფესიული განათლების სისტემა "ამ დიდ სურათს"? პოტენციურად, პროფესიული განათლება შეიძლება იყოს ერთ-ერთი გამოსავალი ადამიანური კაპიტალის უკეთესი გამოყენებისთვის, კერძოდ, თუ ის ხელს შეუწყობს ახალგაზრდების გადასვლას

შრომის ბაზარზე, უნარების შეუსაბამობის, სიღარიბისა და უთანასწორობის შემცირებას. მიუხედავად იმისა, რომ ამ პრობლემების მოგვარება მხოლოდ პროფესიულ განათლებას არ შეუძლია, მან შეიძლება მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ამ სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების გადაჭრაში. ამასთან საჭიროა ორი მნიშვნელოვანი ბარიერის გადალახვა, რომლებიც ამ ანგარიშშია ხაზგასმული: (i) უთანასწორო ხელმისაწვდომობა და მცირე მონაწილეობა პროფესიული განათლების სფეროში, და (ii) პროფესიული განათლების განსხვავებული ხარისხი და შესაბამისობა.

უთანასწორო ხელმისაწვდომობა და მცირე მონაწილეობა პროფესიულ განათლებაში

პროფესიული განათლების მცირე ზომა შეიძლება იყოს „წვდომის“ ან „დაბალი მონაწილეობის“ შედეგი. სტუდენტთა სიმცირე შეიძლება გამოწვეული იყოს პროფესიულ განათლებაში ადგილების სიმცირით, ან პროფესიული განათლების შეზღუდული შეთავაზება შეიძლება გამოწვეული იყოს სტუდენტების სიმცირით. გასაგებია, რომ მცირე ზომა და დაბალი მონაწილეობა ხელს უშლის პროფესიულ განათლებას რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე. ამრიგად, რაოდენობის საკითხი ისეთივე მნიშვნელოვანია პროფესიულ განათლებაში, როგორც ხარისხის. ხელმისაწვდომობისა და მონაწილეობის გაზრდისთვის მნიშვნელოვანია პროფესიულ განათლებაში ადგილების გაზრდა, განსაკუთრებით რეგიონებში, გეოგრაფიული ბარიერების შემცირება. პროფესიული განათლების გარკვეული თავისებურებები ასევე ქმნის ბარიერებს.

პროფესიული განათლების ერთ-ერთი ბარიერი კერძო სექტორის ნაკლები როლია (ყველა დაწესებულებაში სტუდენტების 1/3 კერძო ინსტიტუტებზე მოდის). ვინაიდან კერძო პროფესიულ კოლეჯებში სტუდენტებმა უნდა გადაიხადონ განათლების საფასური, ეს წარმოადგენს ფინანსურ ბარიერს ღარიბი ოჯახების სტუდენტებისთვის. მეორე ბარიერი უკავშირდება პროფესიული განათლების მისაღებად ასაკთან და/ან განათლებასთან დაკავშირებული მოთხოვნების არარსებობას. ეს ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტები შეიძლება იყვნენ სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფიდან და განსხვავებული განათლება ჰქონდეთ. პრაქტიკულად არ არსებობს განსხვავება საწყისსა და განგრძობით პროფესიულ განათლებას შორის. პროფესიული განათლების ერთიანი ეროვნული გამოცდა, რომლის ჩაბარება საჭიროა საჯარო პროფესიულ კოლეჯებში სასწავლებლად ქმნის აკადემიურ ბარიერს, რადგან სუსტი აკადემიური მოსწრების სტუდენტები ხშირად ღარიბი ოჯახებიდან არიან და მათ შეიძლება გაუჭირდეთ გამოცდის ჩაბარება. პროფესიული განათლების მიწოდების ფრაგმენტული ხასიათი განათლების სხვადასხვა დონეზე და საჯარო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ასევე ქმნის სირთულეს, რაც სტუდენტებისა და დაწესებულებების მხრიდან მოითხოვს ცოდნის კარგად ორგანიზებასა და პროფესიონალიზმს.

პროფესიული განათლების განსხვავებული ხარისხი და შესაბამისობა

პროფესიული განათლების მცირე ზომის მიუხედავად, პროფესიული განათლების სისტემას ასევე მნიშვნელოვანი გამოწვევა აქვს ხარისხისა და შესაბამისობის თვალსაზრისით. არსებობს პროფესიული განათლების ხარისხის წარმატებული მაგალითები, მაგრამ ხარისხი მნიშვნელოვნად განსხვავდება სასწავლებლებსა და პროგრამებს შორის. პროფესიული განათლების განსხვავებული შესაბამისობა იმაშიც გამოიხატება, რომ შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულები წარმატებას სხვადასხვა ხარისხით აღწევენ. როგორც ჩანს, განსხვავებაა დაწყებითი და საშუალო პროფესიული განათლების კურსდამთავრებულების დასაქმებას შორის; ეს უკანასკნელნი უკეთეს შედეგებს აჩვენებენ. უფრო მეტიც, პროფესიული განათლების კურსდამთავრებულები, რომელთაც მიღებული აქვთ დუალური ან სამუშაოზე დაფუძნებული განათლება, უფრო წარმატებულები არიან, ვიდრე კურსდამთავრებულები, რომლებიც სასწავლებლებში სწავლობენ. სტატისტიკა აჩვენებს, რომ პროფესიული განათლების მიღება ასევე არ იცავს ახალგაზრდებს რომ არ გახდნენ NEET.

პროფესიული განათლების ხარისხი დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე, როგორცაა სასწავლო გეგმა, სასწავლო მასალები, სასწავლებლის ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა. მტკიცებულებები აჩვენებს, რომ ამ თვალსაზრისით პროფესიული განათლების ზოგიერთი პროვაიდერი ვერ აკმაყოფილებს სტანდარტებს. მიტოვების მაჩვენებელი შედარებით მაღალია პროფესიულ განათლებაში (2018 წელს 27%) და შემამოთხებელია პროფესიული განათლების მასწავლებლების ხარისხი და სტატუსი. პროფესიული განათლების მასწავლებლების 72% –ზე მეტი 40 წლისაა, ხოლო თითქმის ნახევარი 50 წელზე უფროსი ასაკისაა. ბოლო დრომდე, პროფესიული განათლების პედაგოგებს არ მოეთხოვებოდათ პედაგოგიური უნარების ფლობა. ისინი იღებენ დაბალ ხელფასებსა და პენსიებს და მუშაობას აგრძელებენ ხანდაზმულობის ასაკამდე. მათი სამუშაო სტატუსი მყიფეა, რადგან მუშაობენ მხოლოდ როგორც სკოლის თანამშრომლები, რომელთაც ქირაობენ სკოლის დირექტორები, ხოლო ნახევარ განაკვეთზე მუშაობა საკმაოდ ჩვეულებრივია.

პროფესიული განათლების პოლიტიკის რეაგირება

საქართველოს მთავრობამ, რომელიც კარგად აცნობიერებს ამ გამოწვევებს, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სამი ძირითადი მიზნიდან ერთ-ერთ პრიორიტეტად დასახა განათლება და უნარების გაძლიერება. განათლებისა და პროფესიული განათლების სისტემაში რეფორმები ათწლეულზე მეტია მიმდინარეობს. განათლებისა და მეცნიერების ახალი, ერთიანი სტრატეგია 2017–2021წწ მოიცავს განათლების ყველა საფეხურს და აყალიბებს ჰოლისტურ მიდგომას ხელმისაწვდომი და ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, რომელიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში გრძელდება. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთიანი სტრატეგიის ერთ-ერთი მიზანია პროფესიული სტუდენტების რაოდენობის გაზრდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშესაწყობად. სამთავრობო სხვადასხვა დოკუმენტებში მითითებულია 15 –24 წლის ასაკის ახალგაზრდების რაოდენობის 10% –მდე გაზრდა პროფესიული განათლების პროგრამებში.

2018 წელი საქართველოში პროფესიული განათლების სისტემის რეფორმირების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო. მომზადდა და დამტკიცდა ახალი კანონი პროფესიული განათლების შესახებ. კანონის სრულად განხორციელებას გარკვეული დრო დასჭირდება, ვინაიდან საჭიროა კანონმქვემდებარე აქტების მომზადება და საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურისა და შესაძლებლობების გაუმჯობესება. კანონმა განსაზღვრა მკაფიო მიმართულება და შექმნა იურიდიული საფუძველი სისტემაში მრავალი ინოვაციისთვის, მაგ. პროფესიულ განათლებაში საშუალო განათლების შეტანა, მოქნილი კავშირები ზოგად, პროფესიულ და უმაღლეს განათლებას შორის; სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების სისტემატური გამოყენება; ზრდასრულთა განათლებისა და მოკლევადიანი მოზადება გადამზადების განათლების სტიმულირება, კერძო სექტორის როლისა და საჯარო-კერძო პარტნიორობის აღიარება პროფესიული განათლების სფეროში; პროფესიული განათლების ხარისხის მექანიზმების გაუმჯობესება; არაფორმალური და ინფორმალურად შემენილი უნარების დადასტურება.

როგორც ეს მითითებულია სხვადასხვა დოკუმენტებში - პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის დოკუმენტი, განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია და ახალი კანონი პროფესიული განათლების შესახებ - პროფესიული განათლების რეფორმა მოიცავს სამ მკაფიო მიზანს. პირველი “პროფესიული განათლების შესაბამისობაა,” რომელიც გულისხმობს კერძო სექტორის მონაწილეობას პროფესიული განათლების და პროგრამების შემუშავებაში, დანერგვასა და სამუშაოზე დაფუძნებული სწავლის განხორციელებაში. მეორე არის "ხელმისაწვდომი პროფესიული განათლება", რომელიც გულისხმობს პროფესიული განათლების გაფართოებასა და დივერსიფიცირებას, მოდულური პროფესიული განათლების შემოღებასა და საშუალო განათლებასთან პროფესიული განათლების ინტეგრირებას. მესამე არის "მიმზიდველი პროფესიული განათლება", რაც გულისხმობს ჩიხების აღმოფხვრას, ზედა

საშუალო საფეხურთან კავშირის გაუმჯობესებას, სწავლასა და სწავლაში მაღალი ხარისხის უზრუნველყოფასა და ასევე პროფესიული განათლების პოპულარიზებას. სამივე მიზანი და ამ მიზნებიდან გამომდინარე პოლიტიკის პრიორიტეტები ძალიან აქტუალურია და სწორადაა განსაზღვრული ქართული პროფესიული განათლების სისტემაში. ეს საჭიროებს პროფესიული განათლების პოლიტიკის შემუშავებისთვის მნიშვნელოვან შესაძლებლობებსა და უნარს, რამაც უნდა გააუმჯობესოს მისი აქტუალობა და თანმიმდევრულობა.

ხარვეზები შეიძლება დაფიქსირდეს იმ პოლიტიკის განხორციელებაში, რომლებიც ჯერ კიდევ დაგეგმვისა და / ან განხორციელების ადრეულ ეტაპზეა. პროფესიული განათლების რაოდენობისა და ხარისხის გაზრდის პოლიტიკის განხილვამდე, მნიშვნელოვანია განიხილოს სამი მოსაზრება რომლებიც უფრო გამჭოლი საკითხებია და ყველა უკავშირდება განხორციელებას:

- **მიზანშეწონილობისა და მდგრადობის საკითხები პოლიტიკის განხორციელების პროცესში:** რეფორმების ამბიციური ხასიათის, პრიორიტეტების დიდი რაოდენობისა და მიზნების გათვალისწინებით, მათი განხორციელება ადვილი არ იქნება. ქაღალდზე საუკეთესო პოლიტიკაც კი შეიძლება არაეფექტური აღმოჩნდეს თუ მისი განხორციელება არ არის დაგეგმილი სწორად და ინსტიტუტები და პერსონალი საკმარისად მომზადებული არ არიან.
- **ყურადღება უფრო ფოკუსირებულია ცენტრალურ ინსტიტუტებსა და პოლიტიკის შემქმნელებზე, ვიდრე მომსახურების მიმწოდებლებსა და საბოლოო მომხმარებლებზე:** რეფორმის ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია ფოკუსი გადავიდეს პოლიტიკის შემუშავებიდან პოლიტიკის განხორციელების საკითხებზე. შესაბამისად, პოლიტიკის შემქმნელების პერსპექტივიდან საჭიროა პროფესიული განათლების პროვაიდერებისა და საბოლოო მომხმარებლების პერსპექტივაზე გადანაცვლება; ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგიონებში მათი შედარებით სუსტი შესაძლებლობების გამო, სადაც მნიშვნელოვანია ადგილობრივი და სოფლის თემების საჭიროებებზე რეაგირება.
- **რეგიონებში შეზღუდული ფინანსური და ადამიანური რესურსები:** პოლიტიკის ეფექტურად განხორციელებისთვის ბიუჯეტი და პერსონალი არსებითია. პოლიტიკის წარმატებით განხორციელებისთვის რეგიონებში ყველა ადგილობრივი დაინტერესებული მხარე აქტიურად უნდა იყოს ჩართული, მაგ. პროფესიული საგანმანათლებლო პროვაიდერები, პროფესიული სტუდენტები, ადგილობრივი ხელისუფლება, ადგილობრივი კომპანიები, ადგილობრივი დამხმარე საშუალებები და ადგილობრივი დასაქმების სამსახურები. ეს გავლენას ახდენს რეგიონების ბიუჯეტსა და ადამიანურ რესურსებზე.

რეკომენდაციები სამომავლო ნაბიჯებისთვის

პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობისა და მონაწილეობის გაზრდის ღონისძიებები (რაოდენობის გაზრდა)

A1. „პროფესიული განათლების კლიენტების“ უკეთ გაცნობა და მათი ინტერესების დაკმაყოფილება: პროფესიული განათლების მონაწილეთა პროფილისა და მოტივაციის უკეთ გაგება შეიძლება რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის საშუალებით. დაფინანსებული პროფესიული განათლების მთავარი მიზნობრივი ჯგუფის დაზუსტება შესაძლებელია, მაგალითად, ასაკის, განათლების, შემოსავლის, საცხოვრებელი ადგილისა და სიღარიბის ღონის მიხედვით.

A2. ერთი და იგივე წესების განსაზღვრა პროფესიული განათლების ყველა პროვაიდერისთვის: ყველა ტიპის პროფესიული განათლების მიმწოდებლისთვის შეიძლება შეიქმნას თანაბარი პირობები (საჯარო, კერძო, არასამთავრობო ორგანიზაცია), რომლის სულისკვეთება იქნება: „ერთი დიდი პროფესიული განათლების ოჯახი“ და სისტემის თანამშრომლობითი მენეჯმენტი. ამან შეიძლება გაზარდოს პროფესიული განათლების შეზღუდული შეთავაზება და შეამციროს გეოგრაფიული ბარიერები.

A3. პროფესიული განათლების დაფინანსების ვაუჩერის სისტემის გაუმჯობესება: ყველა პროფესიული განათლების მიმწოდებელმა უნდა მიიღოს დაფინანსება მკაფიო წესების საფუძველზე, რამაც შეიძლება შეამციროს ფინანსური ბარიერები. ვაუჩერების მქონე სტუდენტებს შეეძლოთ თავისუფლად აირჩიონ საჯარო ან საჯარო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, ხოლო ერთიანი პროფესიული განათლების მოსაღები გამოცდა გავრცელდეს ყველა პროფესიულ პროვაიდერზე, მათ შორის კერძო პროფესიულ პროვაიდერებზე.

A4. პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ნაკლებად წარმატებული ან დაუცველი ჯგუფებისთვის: შეიძლება შეიცვალოს საჯარო კოლეჯებში შესვლის მოთხოვნები, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს ასაკზე, განათლებაზე, შემოსავლის დონესა და საცხოვრებელ ადგილზე. ღარიბი სოციალურ-ეკონომიკური ოჯახების სტუდენტებს დაფინანსებულ პროგრამებზე შეიძლება ჰქონდეთ პრიორიტეტი, რათა შემცირდეს როგორც აკადემიური, ისე ფინანსური ბარიერები.

A5. უმაღლესი პროფესიული განათლების გაფართოება მოკლე ციკლის პროგრამების საშუალებით: უმაღლესი განათლების საფეხურზე შესაძლებელია მოკლე ციკლის პროგრამების დანერგვა, რათა გაფართოვდეს პროფესიული განათლების შეთავაზება და გაუმჯობესდეს პროფესიული განათლების მიმზიდველობა; ეს შესაძლებლობა ჯერჯერობით ჯეროვნად არ არის გამოყენებული.

პროფესიული განათლების ხარისხისა და შესაბამისობის გაუმჯობესების ღონისძიებები (ხარისხის გაუმჯობესება)

A1. სისტემური კონსულტაციისა და კარიერის განვითარება ყველა სტუდენტისა და სამუშაო მაძიებლისათვის: კონსულტაციისა და კარიერის განვითარების სერვისები უკეთესად შეიძლება განვითარდეს და დაინერგოს განათლების სისტემის ყველა საფეხურისთვის. ყველა მოსწავლეს/სტუდენტს უნდა ჰქონდეს სათანადო ინფორმაცია და კონსულტაცია სასწავლო და პროფესიული არჩევანისთვის

A2. ძლიერი ტექნიკური უნარების დაკავშირება ზოგად კომპეტენციებთან: დამქირავებლების მხრიდან პრეტენზიების გათვალისწინებით, ტექნიკური უნარები შეიძლება შეივსოს ძირითადი კომპეტენციით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ფუნდამენტურ და გამჭოლ უნარებზე, განსაკუთრებით რეგიონებსა და სოფლებში.

A3. კერძო სექტორთან ახალი ტიპის თანამშრომლობა, როგორც თანაბარ პარტნიორთან: წახალისების მექანიზმები უნდა შემუშავდეს კერძო სექტორისთვის, განსაკუთრებით მცირე კომპანიებისთვის, რათა ისინი პროფესიული განათლების სფეროში ჩაერთონ სხვადასხვა გზით. პროფესიული განათლების მართვის სფეროში შეიძლება დაინერგოს ერთობლივი მართვისა და პასუხისმგებლობის გაზიარების ახალი მიდგომა .

A4. პროფესიული განათლების სტუდენტებისთვის პირველი სამუშაო გამოცდილების დივერსიფიცირება: სუსტი და ფრაგმენტული კერძო სექტორის გაძლიერებისთვის საჭიროა ზომების მიღება. პირველი სამუშაო გამოცდილების სხვადასხვა ალტერნატივა სისტემატურად უნდა იქნას შესწავლილი (მაგ. სტაჟირება, მოხალისეობა, საზაფხულო სამუშაოები და სოციალური მეწარმეობა).

A5. მასწავლებელთა სტატუსის ამაღლება და რეფორმა: ახალი კანონის განხორციელებამდე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მასწავლებელთა სამუშაოს სტატუსის გაუმჯობესებას. მნიშვნელოვანია გაიზარდოს ხელფასები და გაუმჯობესდეს სამუშაო პირობები; პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს

დამსახურების საფუძველზე დაქირავებისა და თანამდებობიდან გათავისუფლების კრიტერიუმები.

დასკვნა: საქართველოში პროფესიული განათლების სისტემას რა თქმა უნდა, შეუძლია ხელი შეუწყოს როგორც ეკონომიკურ განვითარებას, ასევე სიღარიბის შემცირებას, მაგრამ ის აუცილებლად უნდა იყოს ადაპტირებული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ რეალობასთან. საჭიროა გადამოწმდეს რამდენად შეესაბამება ერთმანეთს ამბიციური პოლიტიკის სტრატეგიები და განმახორციელებლების (პროფესიული განათლების პროვაიდერები) შესაძლებლობები; მეტი ფინანსური და ადამიანური რესურსების გამოყოფას შეუძლია პრობლემების გადაჭრაში წვლილის შეტანა; აუცილებელია ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სფეროში მოქმედი პირების მჭიდრო კოორდინაცია და თანამშრომლობა; მთავარ დაინტერესებულ მხარეებთან (დამსაქმებლებთან განსაკუთრებით) თანამშრომლობა მოითხოვს ერთობლივი მართვისა და ძალაუფლების განაწილების ახალ მიდგომას, და არა უბრალო კომუნიკაციასა და კონსულტაციას.

1. შესავალი

1.1. ანგარიშის შესახებ

ETF- ის შეფასება ემყარება ტურინის პროცესის ეროვნულ ანგარიშს (MoES 2019), რომელიც მოამზადეს ტურინის პროცესის ეროვნულმა კოორდინატორებმა - ირინა წეროძე, მარია ზაქარეიშვილი, ანასტასია ქიტიაშვილი - დაინტერესებულ მხარეებთან ერთად; ანგარიში მომზადდა სტანდარტული მეთოდოლოგიის მიხედვით. ანგარიშში შეჯამებულია მთავარი გამოწვევები, რომელიც ეხება ქვეყანაში ადამიანური კაპიტალის განვითარებასა და გამოყენებას; ასევე ჩამოყალიბებულია რეკომენდაციები, თუ როგორ შეიძლება განათლებამ, კერძოდ კი პროფესიულმა განათლებამ და შრომის ბაზრის პოლიტიკამ შეიტანოს წვლილი ამ პრობლემების მოგვარებაში.

ETF- ის ეს შეფასება ემთხვევა მნიშვნელოვან ეტაპს, როდესაც საქართველო ემზადება აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) შემდეგი მრავალწლიანი პროგრამისთვის. აღმოსავლეთ პარტნიორობა 2009 წელს დაიწყო, რომლის მიზანია ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებსა და მის აღმოსავლეთ ექვს მეზობელ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაღრმავება და განმტკიცება. ეს ქვეყნებია სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსია, საქართველო, მოლდოვა და უკრაინა. 2020 წლის მაისში ექვსივე ქვეყანა და ევროკავშირი დაიწყებს ინიციატივის მესამე ფაზას, შეთანხმდებიან ახალ სამუშაო გეგმაზე და გადახედავენ 2020 წლისთვის მიღწეულ 20 შედეგს. ახალი ფაზა მიზნად ისახავს რეგიონში მოქალაქეების მატერიალური სარგებელის გაზრდას. ევროკავშირსა და მის ექვს აღმოსავლურ პარტნიორ ქვეყანას შორის თანამშრომლობა ფოკუსირდება მძლავრ ეკონომიკურ განვითარებაზე, უფრო ძლიერ მმართველობასა და საზოგადოებების ჩამოყალიბებაზე.

შეფასება მომზადდა სამაგიდო კვლევის საფუძველზე; ამისათვის გამოყენებული იყო სტანდარტიზებული კითხვარების მეთოდი, ანგარიშის ეროვნული ჩარჩო (NRF) და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაცია. ანგარიში მოამზადა უუმუჰან ბარდაკმა ETF-თან და საქართველოსთვის პასუხისმგებელ თემატურ გუნდთან კონსულტაციით. ETF-ის შეფასების სამუშაო ვერსია გადაეცა ეროვნულ დაინტერესებულ მხარეებსა და საერთაშორისო პარტნიორებს, ხოლო დასკვნებისა და რეკომენდაციების ვერიფიკაცია მოხდა საკონსულტაციო შეხვედრაზე.

ETF-ის სხვა შეფასებების მსგავსად, ეს ანგარიში არ არის სრულად ამომწურავი. ეროვნულ ანგარიშში განხილულია ადამიანური კაპიტალის განვითარებასა და გამოყენებასთან დაკავშირებული ფართო სპექტრის საკითხები, ხოლო აქცენტი გაკეთებულია გამოწვევებზე, რომელთაც ETF პრიორიტეტულ საკითხებად მიიჩნევს.

1.2. ქვეყნის შესახებ მიმოხილვა

საქართველო საშუალოზე ნაკლები შემოსავლის მქონე ქვეყანაა, სადაც 3.7 მილიონი ადამიანი ცხოვრობს (საქსტატი 2018). მთლიანობაში მოსახლეობის 57% ცხოვრობს ქალაქში, აქედან თბილისში - 1,1 მილიონი. მოსახლეობის 87% ეთნიკური ქართველია, დანარჩენი 13% ეთნიკური უმცირესობებია, რომელთა შორის ჭარბობენ აზერბაიჯანელები (6%) და სომხები (4.5%). მოსახლეობა ასაკოვანია შობადობის დაბალი მაჩვენებლისა და ინტენსიური ემიგრაციის გამო. 2014 წელს ჩატარებული მოსახლეობის ბოლო აღწერის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს მოსახლეობა შემცირდა მილიონზე მეტით. შედეგად, სამუშაო ასაკის მოსახლეობა და აქტივობების დონეც შემცირდა. მაგალითად, 2017 წელს სამუშაო ძალა 0.7%-ით შემცირდა, ხოლო აქტიურობის დონე 0,5% (MoESD 2018); 2018 წელს სამუშაო ძალა 1.9%-ით და აქტივობის დონე კი 2.2% -ით შემცირდა (MoES 2019).

საქართველო, უპირველეს ყოვლისა, ემიგრაციის ქვეყანაა; მოსახლეობის 16% საზღვარგარეთაა წასული (ETF 2015). გაეროს ეკონომიკური და სოციალური დაცვის დეპარტამენტის (2018) მონაცემებით, 2017 წელს 838 082 საქართველოს მოქალაქე უცხოეთში ცხოვრობდა და ამ ემიგრანტთა ნახევარზე მეტი მამაკაცი იყო. ემიგრაციის ძირითადი მიზეზი ეკონომიკური სიდუხჭირე და სამუშაო ადგილების ნაკლებობაა. მიგრაციის ძირითადი ქვეყნებია რუსეთი, უკრაინა, საბერძნეთი, გერმანია, ესპანეთი, შვეიცარია, შტატები და თურქეთი (ETF 2015). ქართული ემიგრაციის უმეტესობა ახალგაზრდების ასაკობრივ ჯგუფშია. ემიგრაცია ყველაზე მაღალია 25–29 წლის ასაკში, შემდეგ კი მოდის 30–34 წლის ასაკი (საქსტატი). 2002-2017 წლებში დაახლოებით 1.4 მილიონმა ქართველმა დატოვა ქვეყანა, რომელთა 20% ახალგაზრდა იყო და უმაღლესი განათლება ჰქონდა მიღებული (არასამთავრობო ორგანიზაცია "საზოგადოება და ბანკები", ილიას უნივერსიტეტის ფინანსური განათლების ცენტრის მიერ ჩატარებული 2018 წლის კვლევის მიხედვით IBRD & WB 2018). ასევე არსებობს მოსაზრება, რომ ევროკავშირსა და საქართველოს შორის უფიზო რეჟიმმა, რომელიც დაიწყო 2017 წლის 28 მარტს, შეიძლება კიდევ უფრო გაზარდოს ემიგრაცია ევროკავშირის ქვეყნებში (MES 2019).

როგორც აღმოსავლეთ პარტნიორობის სხვა ქვეყნებმა, საქართველომაც გაიარა გარდამავალი პერიოდი, რამაც მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სოციალური ცვლილებები გამოიწვია. ქვეყანა არის პატარა, აქვს ღია ეკონომიკა, მგრძობიარეა გარე შოკებსა და პოლიტიკურ დამაბულობაზე. მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა ბოლო 5 წლის განმავლობაში სტაბილურია, მაგრამ შედარებით ნელი (ცხრილი 1). ქვეყანას სერვისებით ვაჭრობაში წარმატება აქვს. მთლიანობაში, საგარეო ვაჭრობა ორიენტირებულია მეზობელ პარტნიორებზე (რუსეთი, აზერბაიჯანი და თურქეთი), თუმცა ევროკავშირსა და საქართველოს შორის ვაჭრობა წლების განმავლობაში სტაბილურად იზრდება. ამჟამად ევროკავშირი არის საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორი; ევროკავშირში იმპორტზე საქართველოს მთლიანი იმპორტის 28% მოდის, 2018 წელს კი ექსპორტის 22% მოდიოდა (WIIW 2019). ვაჭრობაში დომინირებს სპილენძის საბადოები და ფეროშენადნობები, აზოტის სასუქი, მინერალური ზეთები, თხილი, ღვინო და ალკოჰოლური სასმელები (WIIW 2019).

ცხრილი 1. ქვეყნის შერჩეული ინდიკატორები; საქართველო 2015-2019

ინდიკატორები	2015	2016	2017	2018	2019 (QI+II)
მთლიანი შიდა პროდუქტი (USD)	3754.9	3857.3	4046.8	4345.5	NA
მშპ, რეალური ზრდის ტემპი (%)	2.9	2.8	4.8	4.7	4.7
მოსახლეობა (ათასებში)	3721.9	3728.6	3726.4	3729.6	3723.5
აქტივობის დონე (% of 15+)	66.8	66.3	65.8	63.9	NA
დასაქმების დონე (% of 15+)	57.4	57.1	56.7	55.8	NA
უმუშევრობის დონე (% of 15+)	14.1	14.0	13.9	12.7	NA
ახალგაზრდების უმუშევრობის დონე (% of 15-24)	33.8	33.2	28.9	29.9	NA

წყარო: ETF მონაცემთა ბაზა (ემყარება საქსტატის მონაცემთა ბაზას).

საქართველოს აქვს წარმატება მომსახურებების სფეროში, განსაკუთრებით ტურიზმისა და სატრანსპორტო ტრანსპორტის სფეროებში (მომსახურების ბალანსი სულ უფრო და უფრო პოზიტიური ხდება, რაც 2018 წელს მშპ-ს 12% -ზე მეტს გადააჭარბა). აღსანიშნავია, რომ 2018

წელს საქართველომ უმასპინძლა 8.3 მილიონ ტურისტს, ხოლო 3.2 მილიარდი აშშ დოლარი მიიღო ტურისტული სერვისების ექსპორტისგან (WIIW 2019). მომსახურების დადებითი ტენდენციების გარდა, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი შემცირდა აგრეთვე ევროკავშირში, რუსეთსა და თურქეთში. ამის ძირითადი მიზეზია ფინანსური გზავნილები (2015-2017 წწ გზავნილები და სხვა ტრანსფერები მთლიანი შიდა პროდუქტის თითქმის 10% -ს შეადგენდა; ეს წელიწადში დაახლოებით 1 მილიარდ ევროს უდრის - საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემები).

მსოფლიო ბანკის „ბიზნესის კეთების სიმარტივე“-ს მაჩვენებლების მიხედვით საქართველო ინარჩუნებს წამყვან პოზიციას. ის 2019 წელს 190 ქვეყნიდან მე -6 ადგილზეა. ევროპული პალატის ახალი ანგარიშის თანახმად, 2019 წელს ევროპის მასშტაბით საქართველო ბიზნესის კეთების თვალსაზრისით 16 საუკეთესო ევროპულ ქვეყანას შორისაა (WIIW 2019). საქართველოს აქვს მოქნილი შრომის კოდექსი და რეგიონის ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური შრომითი გარემო. არ აქვს მინიმალური ხელფასის მოთხოვნა. 2014-2018 წლებში ქვეყანამ მოიზიდა ჭარბი უცხოური ინვესტიციები, რამაც გადააჭარბა 8 მილიარდ აშშ დოლარს (MoES 2019). ცოტა ხნის წინ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უმსხვილესი ნაწილი ტრანსპორტის სექტორში განახორციელა (დაახლოებით 25%)¹, რასაც მოჰყვა ფინანსური და სამშენებლო სექტორები. FDI ასევე მაღალია უძრავი ქონებისა და ენერჯეტიკის სექტორებში.

შრომის ბაზრის მაჩვენებლების გრძელვადიანი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ბოლო ათწლეულში გაუმჯობესდა აქტივობისა და დასაქმების დონე, ხოლო უმუშევრობის - შემცირდა (ცხრილი 1). გასული ათწლეულის განმავლობაში შენარჩუნებული ეკონომიკური ზრდის მიუხედავად, საქართველოს შრომის ბაზარს აქვს სამი სტრუქტურული გამოწვევა: არასაკმარისი (განსაკუთრებით მაღალკვალიფიციური) სამუშაო ადგილების შექმნა; თვითდასაქმების მაღალი მაჩვენებელი, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში; და ურბანული უმუშევრობის მაღალი დონე, განსაკუთრებით ახალგაზრდებს შორის (ცხრილი 1). მთლიანი დასაქმების ნახევარი მომსახურების სფეროშია, სოფლის მეურნეობაში 40% და წარმოებაში 10%. მომსახურების დასაქმების წილი ბოლო ათწლეულში იზრდება სოფლის მეურნეობაში დასაქმების შემცირების ხარჯზე.

1.3. სტრატეგიული მდგომარეობა

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება (AA), რომელიც გაფორმდა 2014 წლის ივნისში და ძალაში შევიდა 2016 წლის ივლისიდან, საფუძველს უქმნის გრძელვადიან პოლიტიკურ და ეკონომიკურ თანამშრომლობასა და რეფორმების პროცესს. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ (DCFTA) შეთანხმება, რომელიც AA- ის ნაწილია, ითვალისწინებს ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად რეფორმების განხორციელებას ისეთ სფეროებში როგორცაა: ვაჭრობა, გარემო, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, ენერჯეტიკა, ტრანსპორტი, დასაქმება და განათლება. ქვეყანა მიისწრაფის ვაჭრობის ლიბერალიზაციისკენ, უცხოელი ინვესტორებისთვის აუმჯობესებს საგადასახადო გარემოს და ევროკავშირთან ინტეგრაციის რთული გზის ერთგულია.

ამ ანგარიშის ერთ-ერთი ფოკუსი, DCFTA, ითვალისწინებს ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობას "დასაქმების, სოციალური პოლიტიკისა და თანაბარი შესაძლებლობების" სფეროებსა (თავი 148, მუხლები 348-354, დანართი XXX) და "განათლება, ტრენინგი და ახალგაზრდობის" სფეროში (თავი 16 სტატიები 358-361, დანართი XXXII). კერძოდ, მე -14 თავში ხაზგასმულია ისეთი საკითხები, როგორცაა ღირსეული სამუშაო გარემოს შექმნა, დასაქმების პოლიტიკა, სამსახურში ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების

¹ The Chinese investments in the Anaklia Deep Sea Port and the Poti Free Industrial Zone (adjacent to the Poti Sea Port) (WIIW 2019), as well as the Baku-Tbilisi-Kars railway line.

უზრუნველყოფა, სოციალური დიალოგი, სოციალური დაცვა, სოციალური ინკლუზია, გენდერული თანასწორობა და ანტიდისკრიმინაცია; ხოლო მე -16 თავი ითვალისწინებს თანამშრომლობასა და გაცვლას ახალგაზრდებისა და ახალგაზრდული მუშაკებისთვის; ასევე ხაზგასმულია ახალგაზრდული მობილობის, უწყვეტი სწავლების, ხარისხიანი განათლებისა და პროფესიული განათლების მიღების საკითხები.

განათლება და ეკონომიკური ზრდა პრიორიტეტულია საქართველოს 2020 წლის სტრატეგიაშიც. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სამი ძირითადი მიზნიდან “უნარების გაუმჯობესება” ერთ-ერთი პრიორიტეტია. ოთხპუნქტიანი სამთავრობო პროგრამა 2016-2020წწ განსაზღვრავს მიზნებს ეკონომიკის, განათლებისა და საჯარო მენეჯმენტის სფეროებში. ახალი სამთავრობო პროგრამა 2018-2020წწ "თავისუფლება, სწრაფი განვითარება და კეთილდღეობა" ადასტურებს იგივე პრიორიტეტებს - ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, დასაქმება და განათლება. ის ასევე გამოყოფს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა შრომის ბაზრის ფუნქციონირების ეფექტურობის გაუმჯობესება, შრომის ბაზრის კვლევები, სახელმწიფო და კერძო მედიაციის გაუმჯობესება სამუშაოს მაძიებლებსა და დამსაქმებლებს შორის. საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების 2015–2018 წლების სტრატეგია იყო მთავარი პოლიტიკის დოკუმენტი დასაქმების სფეროში; დამტკიცების პროცესშია ახალი “შრომის ბაზრისა და დასაქმების პოლიტიკის ეროვნული სტრატეგია 2019-2023წწ”.

განათლების სფეროში ძირითადი დოკუმენტებია 2005 წლის კანონი ზოგადი განათლების შესახებ და პროფესიული განათლებისა და რეფორმის სტრატეგია (2013-2020). ამ უკანასკნელში მოცემულია შვიდი შედეგი, რომელთა მიზანია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი თანამედროვე, ინკლუზიური, მიმზიდველი და ღია პროფესიული განათლების სისტემის შექმნა. 2017 წელს მიღებულ იქნა «განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021 წწ», რომელიც მოიცავს ყველა დონეს: ბავშვთა ადრეული/სკოლამდელი განათლება, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლება, ზრდასრულთა განათლება, მეცნიერება და კვლევები. სტრატეგიის მთავარი მიზანია ხარისხიანი განათლებისა და მეცნიერების სისტემის შექმნა მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის პრინციპების შესაბამისად, რაც საშუალებას მისცემს ყველა მოქალაქეს მიაღწიოს ხარისხიან და მდგრად შედეგს.

და ბოლოს, არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ 2018 წლის სექტემბერში დამტკიცდა პროფესიული განათლების შესახებ ახალი კანონი, რომელიც მიზნად ისახავს ისეთ საკითხებს, როგორცაა: მოქნილი და ხარისხიანი პროფესიული განათლების სისტემის ჩამოყალიბება, ზოგად, პროფესიულ და უმაღლეს განათლებას შორის კავშირების უზრუნველყოფა, ზოგადი განათლების ინტეგრირება პროფესიულ განათლებასთან, კრედიტების დაგროვება და ზრდასრულთა განათლების სისტემის ჩამოყალიბება. ახალი კანონი ამცირებს ჩიხებს და ხსნის ახალ შესაძლებლობებს პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. ის მოითხოვს მთელი რიგი დებულებისა და კანონქვემდებარე რეგულაციების შექმნას.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბოლო ათწლეულში საქართველო იღებს მნიშვნელოვან საერთაშორისო მხარდაჭერას განათლებისა და პროფესიული განათლების სფეროში. პროფესიულ განათლებაში სამინისტროს ყველაზე მსხვილი დონორია ევროკავშირი, რომელსაც 2009 წლიდან უწყვეტი მხარდაჭერის პროგრამები აქვს. ევროკავშირის პირველი მხარდაჭერის პროგრამა, რომელიც განხორციელდა 2009–2012 წლებში, ორიენტირებული იყო მხოლოდ პროფესიულ განათლებაზე; მისი ბიუჯეტი 19 მილიონი ევრო იყო, საიდანაც 2 მილიონი ევრო ტექნიკურ დახმარებას დაეთმო. ეს გაგრძელდა ევროკავშირის მეორე პროგრამით "დასაქმება და პროფესიული განათლების სფეროს სექტორის რეფორმა" 2013-2018 წლებში, მათ შორის 20 მილიონი ევრო ბიუჯეტის მხარდაჭერა იყო და 7 მილიონი ევრო

ტექნიკური დახმარება, თვინინგი და საგრანტო სქემა. ევროკავშირის მხარდაჭერის მესამე პროგრამაა "უნარები დასაქმებისთვის", რომელიც განხორციელდება 2019-2023 წლებში. საბიუჯეტო დახმარებაზე 30 მილიონი ევროა გამოყოფილი და თითქმის 19 მილიონი ევრო - დამატებითი მხარდაჭერისთვის (ტექნიკური დახმარება, თვინინგი, საგრანტო სქემა და კონკრეტული აქტივობები აფხაზეთში).

ევროკავშირის გარდა, მნიშვნელოვანია MCA პროექტი "პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის", რომლის მიზანი იყო ტექნიკური უნარ-ჩვევების გაუმჯობესების ხელშეწყობა შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად. ის განხორციელდა 2014 - 2019 წლებში და ბიუჯეტი 16 მილიონი აშშ დოლარი იყო. გაეროს მხარდაჭერით ასევე განხორციელდა პროექტი „სოფლის მეურნეობის პროფესიული განათლების მოდერნიზაცია“ 2013-2018 წლებში სოფლის მეურნეობაში სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების უზრუნველსაყოფად. პროექტი დააფინანსა შვეიცარიის განვითარების თანამშრომლობის სააგენტომ (SDC), რომლის ბიუჯეტი 6 მილიონი აშშ დოლარი იყო. პროექტი განახლდა 2019-2022 წლების პერიოდისთვის და SDC- სგან დამატებით 6 მილიონი აშშ დოლარით დაფინანსდა. პროექტის "უნარ-ჩვევების განვითარება სოფლის მეურნეობაში" ყურადღებას ამახვილებს საჯარო და კერძო პარტნიორობაზე სოფლის მეურნეობის სფეროში; მისი მიზანია ფერმერებს ხელი მიუწვდებოდეთ ხარისხიან პროფესიულ განათლებასა და სოფლის მეურნეობის სერვისებზე.

GIZ-ი 5 სექტორში წერგავს დუალურ საგანმანათლებლო პროგრამებს კერძო სექტორის განვითარების პროგრამის ფარგლებში (ტურიზმი, მშენებლობა, ტრანსპორტი და ლოგისტიკა, ICT და ღვინის წარმოება); ამისათვის გერმანიამ 30 მილიონი ევროს დაფინანსება გამოყო; დამატებით 5 მილიონი ევრო კი გამოყო ევროკავშირმა მცირე და საშუალო ბიზნესისთვის. პროგრამის პირველი ეტაპი უკვე განხორციელებულია (2013-2016), ხოლო მეორე ეტაპი (2017-2020) მიმდინარეობს.

არაერთი სხვა პროექტი მხარს უჭერს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროფესიული განათლების რეფორმების განხორციელებაში. დიდი ბრიტანეთის კარგი მმართველობის ფონდმა გამოყო 50 მილიონი აშშ დოლარი, რომლის ფარგლებში სამ დიდ პროექტს ახორციელებს მსოფლიო ბანკი, ბრიტანეთის საბჭო და PricewaterhouseCoopers. პროექტები ფოკუსირებულია პროფესიულ განათლებაზე, საჯარო-კერძო პარტნიორობის მექანიზმებზე და მოკლე ციკლის პროგრამებზე. KfW- მა ცოტა ხნის წინ დაიწყო პროფესიული განათლების ე.წ "წარმატების ცენტრების -Excellence nebtres" მხარდაჭერა (იხ. MoESCS, 2019, გვ. 17-19). რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპულმა ბანკმა (EBRD) უზრუნველყო სესხები საქართველოში მედდების განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად (2018 წლის დეკემბრიდან 2020 წლის დეკემბრამდე). ეს გამოიხატა ძირითადად შემდეგ აქტივობებში: ქართულენოვანი საექთნო სახელმძღვანელოს მომზადება და გავრცელება; ტესტებს ბანკის შედგება ახალ სასწავლო გეგმების შესაბამისად; და გენდერული სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომ უფრო მეტი ახალგაზრდა კაცი გახდეს მედდა-მედმა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინიციატივაა მსოფლიო ბანკიდან 100 მილიონი აშშ დოლარის სესხი ინოვაციის, ინკლუზიისა და ხარისხის მხარდასაჭერად. ეს პროექტი ხელს უწყობს ადამიანური კაპიტალის განვითარებას ისეთი ინიციატივებით, როგორცაა: სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობა, ხარისხიანი ზოგადი განათლება, სასწავლო გარემოს გაუმჯობესება და უმაღლესი განათლების დაფინანსების გაუმჯობესება. პროექტი განხორციელდება 2019-2022 წწ და მისი მიზანია მთავრობის 2018-2023 წლების განათლების რეფორმის დღის წესრიგის მხარდაჭერა. ბოლო სესხი ეკუთვნის აზიის განვითარების ბანკს (50 მილიონი აშშ დოლარი) "თანამედროვე უნარ-ჩვევები უკეთესი დასაქმებისთვის - პროფესიული განათლების განვითარების პროგრამა", რომელიც მზადების პროცესშია და

სავარაუდოდ დაიწყება 2021 წლისთვის. განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ორივე სესხის მიმღებია, მსოფლიო ბანკის და აზიის განვითარების ბანკის.

დაბოლოს, დანიის მიერ დაფინანსებული ახალი პროექტს, ინკლუზიური შრომის ბაზარი საქართველოში სამუშაოს შექმნისთვის, ამჟამად ახორციელებს შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO), რომლის ბიუჯეტი 4,5 მილიონი აშშ დოლარია. ეს არის ოთხწლიანი პროექტი (2018 - 2021 წლები) და მისი მიზანია საქართველოს შესაძლებლობების გაუმჯობესება შრომის კანონების და შრომის საერთაშორისო სტანდარტების აღსრულების მიმართულებით, ახალგაზრდული მეწარმეობისა და ბიზნესის ხელშეწყობა.

2. ადამიანური კაპიტალი: განვითარება და გამოწვევები

2.1 მიმოხილვა და ძირითადი მონაცემები

განმცხადებლების რაოდენობას შორის განსხვავება. ხელმისაწვდომობისა და მონაწილეობის ზრდა ყოველთვის იწყება პროფესიულ განათლებაზე ადგილების გაზრდით. ანუ არსებულმა პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა შეძლონ უკეთ გამოიყენონ თავიანთი შესაძლებლობები, უფრო მეტი ადგილები გამოყონ ან დაამატონ სწავლის მსურველთათვის როგორც მინიმუმ ყველას, ვინც დაამთავრა განათლების ქვედა საშუალო საფეხური, შეუძლია მიიღოს პროფესიული განათლება, მაშინ როდესაც ყველას, ვინც დაასრულა განათლების ზედა საშუალო საფეხური, შეიძლება ისწავლოს პროფესიულ კოლეჯში. პროფესიული განათლების სტუდენტები შეიძლება სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფიდან იყვნენ და განსხვავებული განათლება ჰქონდეთ. ეს მიდგომა პრაქტიკულად უარყოფს განსხვავებას "საწყის პროფესიულ განათლებასა" და "უწყვეტ პროფესიულ განათლებას" შორის. 35 წლის ასაკის ზედა საშუალო განათლების კურსდამთავრებული, რომელსაც აქვს სამუშაო გამოცდილება, შეიძლება სწავლობდეს 15 წლის ახალგაზრდასთან ერთად, რომელმაც ახლახან დაასრულა განათლების ქვედა საშუალო საფეხური. 2015 - 2019 წლებში ჩარიცხულ სტუდენტთა ასაკის ანალიზი აჩვენებს, რომ (საჯაროსა და კერძოში ერთად), სტუდენტების უმრავლესობა მართლაც 19-დან 29 წლამდე ასაკობრივ ჯგუფშია (55.4%) (ცხრილი 13). 30 წელს გადაცილებული პირები მთლიანად სტუდენტების თითქმის მეხუთედს შეადგენენ (19.8%), ხოლო 15-18 წლის ასაკის სტუდენტები ერთ მესამედს (24.8%).

ცხრილი 13. პროფესიული განათლების ჩარიცხვის მაჩვენებელი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით - (საჯარო და კერძო ერთად) 2015 -2019 წლებში

ჩარიცხვის მაჩვენებელი	15-18	19-24	25-29	30-49	50+	ყველა ასაკობრივი ჯგუფი
საჯარო ჯამში N	9310	18 189	6763	9113	1462	44 837
%	20.2%	40%	15.4%	21.1%	3.3%	100%
კერძო ჯამში N	7058	10 019	2013	2333	159	21 582
%	32.7%	46.4%	9.3%	10.8%	0.8%	100%
სულ ორივე N	16 368	28 208	8776	11 446	1621	66 419
სულ ორივე%	24.8%	42.2%	13.2%	17.4%	2.4%	100%

წყარო: EMIS მონაცემები. მოცემულია ერთიანი მონაცემები საჯარო და კერძო სასწავლებლებისთვის, 2015 - 2019 წ. * პროფესიულ კოლეჯებში წელიწადში 2 ჩარიცხვა; 2019 წლიდან მხოლოდ ერთი ჩარიცხვა შედის

საინტერესოა, რომ საჯარო კოლეჯები იღებენ უფრო ნაკლები რაოდენობის 15-18 წელზე ნაკლები ასაკის სტუდენტებს (მათი სტუდენტების 20%) ვიდრე კერძო კოლეჯები, რომელთაც ამ ასაკობრივი ჯგუფის 33% ჰყავთ (ცხრილი 13). 30 წელზე უფროსი ასაკის სტუდენტები საჯარო კოლეჯების სტუდენტთა 24.4%-ს შეადგენენ, ხოლო კერძო კოლეჯების 11.6%-ს. საჯარო კოლეჯებში სტუდენტთა თითქმის 40% ზრდასრულია (25 წლამდე ასაკის) (საწინააღმდეგოა პროფესიული სკოლები 20%). შესაბამისად, კერძო პროფესიული კოლეჯების სტუდენტთა თითქმის 80% ახალგაზრდაა (15-24 წელი), ხოლო საჯარო კოლეჯებში ეს რიცხვი 60%-ია. მიუხედავად იმისა, რომ ეს სისტემა მოქნილია ახალგაზრდებისთვის, ის შეიძლება ნაკლებად ხელმისაწვდომი აღმოჩნდეს მრავალფეროვანი აპლიკანტებისთვის, მათ შორის 15-18 წლის ასაკობრივი ჯგუფისათვის.

პროფესიულ კოლეჯებში ჩარიცხვისას განათლების დონეც განსხვავდება. ცხრილში 14 მოცემულია პროფესიული განათლების სტუდენტების ჩარიცხვის მაჩვენებელი 2015 -2019 წლებში (ორივე საჯარო და კერძო ერთად). როგორც ჩანს სტუდენტები, რომლებმაც საშუალოს ქვედა ან ზედა საფეხური დაასრულეს პროფესიულ და უმაღლეს განათლების მქონე სტუდენტებთან ერთად სწავლობენ. საერთო ჯამში, პროფესიული განათლების სტუდენტების თითქმის 60% -ს ჩარიცხვისას ჰქონდა საშუალოს ზედა საფეხურის განათლება (61% საჯარო და 56% კერძო). მათგან 28% -ს ჰქონდა მხოლოდ საბაზო განათლება (29% საჯარო და 27%

კერძო პროფესიული კოლეჯი). ქალ სტუდენტებს განათლების უფრო მაღალი საფეხური ჰქონდათ, ვიდრე მამაკაცებს. საინტერესოა, რომ პროფესიული განათლების სტუდენტთა 8% -ზე მეტს უკვე ჰქონდა მიღებული პროფესიული განათლების დამადასტურებელი დიპლომი, სანამ ისინი ხელმეორედ ჩაირიცხებოდნენ პროფესიულ კოლეჯებში (მათი რაოდენობა 14% -მდე აღწევს კერძო პროფესიულ კოლეჯებში), ხოლო პროფესიული განათლების სტუდენტთა 4% -ს ადრე ჰქონდა მიღებული უმაღლესი განათლების დიპლომი. იხ პროფესიული განათლების პროგრამაში ჩარიცხვა (ცხრილი 14).

ცხრილი 14. პროფესიული განათლების პროგრამებზე ჩარიცხვების მაჩვენებელი განათლების დონის მიხედვით - სულ, სქესი, საჯარო / კერძო 2015- 2019 წლამდე

პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხვის მაჩვენებელი	საბაზო განათლება (ISCED 0-2)	ზედა საშუალო (ISCED 3)	პროფესიული განათლება	უმაღლესი განათლება (ბაკალავრიატი+)
სულ N	17 425	36 746	5208	2385
სულ %	28.2%	59.5%	8.4%	3.9%
კაცი%	63.2%	47.0%	57.2%	46.5%
ქალი%	36.8%	53.0%	42.8%	38.8%
სულ საჯარო N	12 111	25 429	2411	1753
%	29.0%	61%	5.8%	4.2%
სულ კერძო N	5314	11 317	2797	632
სულ %	26.5%	56.4%	14%	3.2%

წყარო: EMIS მონაცემთა ბაზა. მოცემულია ერთიანი მონაცემები საჯარო და კერძო სასწავლებლებისთვის, 2015 - 2019 წ. * პროფესიულ კოლეჯებში 2 ჩარიცხვაა წელიწადში; 2019 წლიდან მხოლოდ ერთი ჩარიცხვა შედის

სისტემის კიდევ ერთი თავისებურებაა კერძო სექტორის ნაკლები როლი პროფესიული განათლების სფეროში. საქართველოში პროფესიულ განათლებას უზრუნველყოფენ საჯარო და კერძო პროფესიული კოლეჯები, რომელთა რიცხვი 2018 წელს იყო 42 და 83 შესაბამისად (განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2019). საჯარო პროფესიული განათლების როლი თანდათანობით გაიზარდა, რაც მთლიან სტუდენტთა რაოდენობის თითქმის ორი მესამედია (ცხრილი 12)³. პროფესიული განათლება უფასოა საჯარო კოლეჯებში და ფასიანია კერძო კოლეჯებში. ამრიგად, პროფესიული განათლება ნაკლებად არის ხელმისაწვდომი სტუდენტებისთვის ღარიბი ოჯახებიდან და დიდი ქალაქების გარეთ. ეს უკვე ზღუდავს პროფესიულ განათლებაზე წვდომის შესაძლებლობებს უფრო ღარიბი ოჯახებისთვის.

რადგან მხოლოდ საჯარო კოლეჯები იღებდნენ სახელმწიფო დაფინანსებას, კერძო პროფესიული კოლეჯების უმეტესობა კონცენტრირებული იყო ბიზნეს მოგებაზე, რათა ჩადებული ინვესტიციები დაეფარათ. ამის გამო ბევრი მათგანი ძირითადად კონცენტრირებულია ორ დიდ ქალაქში, სადაც უფრო მეტ ადამიანს შეუძლია სწავლის საფასურის გადახდა. ეს ასევე იწვევს შეზღუდულ გეოგრაფიულ ხელმისაწვდომობას რეგიონებისა და სოფლის აპლიკანტებისთვის. გაუმჯობესებულია საჯარო კოლეჯების გეოგრაფიული განაწილება, მაგრამ რეგიონებში ჯერჯერობით არც თუ ისე დიდია, და ვერ აბალანსებს ტერიტორიულ შეზღუდვას.

2015 - 2019 წლებში პროფესიულ განათლებაზე რეგიონების მიხედვით ჩარიცხვების ანალიზმა (ყველა საჯარო და კერძო ჩარიცხვა ერთად) აჩვენა, რომ სტუდენტების 45% ქალაქ თბილისში სწავლობს (ცხრილი 15). კერძო პროფესიულ კოლეჯებში თბილისის წილი 63% -მდეა, საჯარო

³ For example, all VET providers in medical and para-medical professions (except physicians) are private, and students have to pay for this education. This might be linked to the selection of vocations that are more attractive to students and will return higher profits in the private VET sector.

პროფესიულ კოლეჯებში 36%-მდე. სტუდენტების სიჭარბის მხრივ მეორე რეგიონი აჭარა (კერძოდ, ბათუმი), სადაც საერთო ჩარიცხვების 19% მოდის (კერძოდ პროფესიული განათლებისა და 22% საზოგადოებრივ პროფესიული განათლების სფეროში). საერთო ჯამში, თბილისსა და ბათუმში სწავლობს პროფესიული სასწავლებლის სტუდენტთა ორი მესამედი. ამის მიზეზია პროფესიული კოლეჯების არათანაბარი განაწილება, მრავალფეროვანი ობიექტებისა და კურსების არარსებობა რეგიონებში, საჯარო და კერძო დაწესებულებებს შორის სუსტი კოორდინაცია და თანამშრომლობა.

ცხრილი 15. პროფესიულ განათლებაზე ჩარიცხვების მაჩვენებელი და წილი რეგიონების მიხედვით - სულ, საჯარო და კერძო 2015- 2019 წლები

ჩარიცხვის მაჩვენებელი რეგიონებში	საჯარო		კერძო		სულ	
	რაოდენობა	%	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
აჭარა	7700	17.2%	4762	22.1%	12 462	18.8%
გურია	1864	4.2%	-	-	1864	2.8%
თბილისი	16 287	36.3%	13 499	62.5%	29 786	44.8%
იმერეთი	4938	11.0%	1451	6.8%	6389	9.6%
კახეთი	3774	8.4%	96	0.4%	3870	5.8%
მცხეთა-მთიანეთი	416	0.9%	-	-	416	0.6%
რაჭა-ლეჩხუმი / ქვემო სვანეთი	201	0.4%	-	-	201	0.3%
სამეგრელო ზემო სვანეთი	3879	8.7%	660	3.1%	4539	6.8%
სამცხე-ჯავახეთი	2130	4.8%	86	0.4%	2216	3.3%
ქვემო ქართლი	1399	3.1%	775	3.6%	2174	3.3%
შიდა ქართლი	2249	5.0%	253	1.2%	2502	3.8%
სულ	44 837	100%	21 582	100%	66 419	100%

წყარო: EMIS მონაცემთა ბაზა. მოცემულია ერთიანი მონაცემები საჯარო და კერძო სასწავლებლებისთვის, 2015 – 2019 წ. * პროფესიულ კოლეჯებში 2 ჩარიცხვაა წელიწადში; 2019 წლიდან მხოლოდ ერთი ჩარიცხვა შედის

პროფესიული განათლების ფინანსური და გეოგრაფიული ბარიერების გარდა შესაძლოა გამოიყოს „აკადემიური ბარიერი“. თუ აპლიკანტს სურს უფასო საჯარო კოლეჯში სწავლა, მან უნდა გაიაროს 2013 წელს შემოღებული ერთიანი მისაღები გამოცდა. ყველა სტუდენტი, ვინც წარმატებით ჩააბარებს გამოცდას (1-2 საფეხურისთვის) -3), მიიღებს სრულ დაფინანსებას. ამ გამოცდის ჩაბარებისთვის საჭიროა აკადემიური უნარები; გარდა ამისა კოლეჯებში სწავლის ასაკობრივი შეზღუდვა არ არსებობს; ცხადია აკადემიურად წარმატებული სტუდენტები უკეთ ჩააბარებენ ამ გამოცდას. ამრიგად, გამოცდა შეიძლება გახდეს „ძლიერი ფილტრი და შემაკავებელი“ სუსტი და ღარიბი სტუდენტებისთვის; მან შეიძლება გამოიწვიოს წარმატებულ პირთა შერჩევა (ე.წ. ” creaming”) უფასო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე. იმ სტუდენტებს, რომლებიც აბარებენ გამოცდას და იღებენ ვაუჩერს, არ აქვთ უფლება არჩევანი გააკეთონ საჯარო და კერძო პროფესიულ პროვაიდერებს შორის. დაბალი მოსწრების მოსწავლეები ხშირად უფრო ღარიბი ოჯახებიდან მოდიან, რომელთაც არ შეუძლიათ სწავლის საფასურის გადახდა; ეს ხდება ”მანკიერი წრე”, და უფრო დაუცველ სტუდენტებს განათლების მიღმა ტოვებს. ამ პრობლემის გადასაჭრელად განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ წამოიწყო „ინტეგრალური პროფესიული განათლების პროგრამა“, რომელშიც არსებობს ალტერნატიული პროცედურები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მისაღებად, ხოლო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს შეუძლიათ ტესტის ჩაბარება მშობლიურ ენაზე. მართლაც, 2015 წლიდან მოწყვლადი ჯგუფის სტუდენტები საჯარო კოლეჯებში ადგილების 10% იკავებენ. მაგალითად, ანალიზმა აჩვენა, რომ 2015-დან 2019 წლამდე

პროფესიულ განათლებაში სულ 842 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი და 1095 იძულებით გადაადგილებული პირი (დევენილი) ჩაირიცხა. (საჯარო და კერძო პროფესიული კოლეჯების ერთობლივი ჩარიცხვები). მათ 1937 ადგილი დაიკავეს, რაც პროფესიულ კოლეჯებში ჩარიცხვების 2.9% -ს (EMIS მონაცემთა ბაზა) შეადგენს. ეს პოლიტიკა სწორი პოლიტიკაა, მაგრამ ამ სქემით გათვალისწინებული ბენეფიციარების რაოდენობა ჯერ კიდევ დაბალია. გარდა ამისა, ეს არ წყვეტს „აკადემიურად სუსტი სტუდენტების“ პრობლემას, რომლებიც ძირითადად ღარიბი / სოფლის ოჯახებიდან მოდიან. ეს ადამიანები ტოვებენ განათლების სისტემას ყოველგვარი პროფესიული უნარ-ჩვევების გარეშე და შესაძლოა, გახდნენ NEET; ამიტომ 15-19 წლამდე ასაკის და ნაკლებად წარმატებული სტუდენტებისთვის განათლების ალტერნატიული ვარიანტის მიწოდება აუცილებელია.

დაბოლოს, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, გასათვალისწინებელია პროფესიული განათლების ფრაგმენტული განაწილება განათლების სხვადასხვა დონეებზე (პროფესიული მართვის სხვადასხვა მექანიზმით, პროფესიული განათლებისა და უმაღლესი განათლების დეპარტამენტებს შორის) და საჯარო და კერძო სასწავლებლებში. ცხრილი 16 გვიჩვენებს საქართველოში პროფესიული განათლების სხვადასხვა დონეზე სტუდენტთა რაოდენობას. როგორც ჩანს, კერძო სექტორში დომინირებს საზოგადოებრივი კოლეჯები, ხოლო საჯარო სექტორში მრავალპროფილური კოლეჯები. ერთის მხრივ ეს უფრო ხელმისაწვდომს ხდის პროფესიულ განათლებას სხვადასხვა ტიპის აპლიკანტებისთვის, მაგრამ მეორეს მხრივ, მოითხოვს როგორც პროფესიული პროვაიდერების, ასევე პროფესიული სტუდენტების ინფორმირებას. რაც შეეხება სკოლას, აქ პროფესიული განათლების მენეჯმენტი კიდევ უფრო რთული ხდება.

ცხრილი 16. პროფესიული განათლების სტუდენტები პროფესიული განათლების მიმწოდებლის ტიპების მიხედვით, 2018 და 2019

ტიპი	2018 წლის აგვისტო			2019 წლის აგვისტო		
	საჯარო	კერძო	სულ	საჯარო	კერძო	სულ
სკოლები	5697	788	6585	4954	555	5509
საზოგადოებრივი კოლეჯები	787	3091	3878	654	2526	3180
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები	1277	423	1700	1624	323	1947
საშუალო განათლება პროფესიულთან ერთად	-	252	252	19	217	236
სულ	7761	4554	12 415	7251	3621	10 872

წყარო: MoES 2019, EMIS მონაცემთა ბაზა

შენიშვნა: აკადემიური წელი საქართველოში 1 სექტემბრიდან 31 აგვისტომდეა და ყოველწლიურად ორი ჩარიცხვაა პროფესიულ დაწესებულებებში.

მრავალფეროვანი ინსტიტუტები და პროფესიული პროგრამები სტუდენტებისთვის გარკვეულწილად ართულებს სწავლის პროცესს. მაგალითად, პროფესიულ კოლეჯებს შეიძლება ჰყავდეთ 15-დან 70 წლამდე ასაკის სტუდენტები, რომელთა ნაწილს შეიძლება ჰქონდეს მიღებული პროფესიული, უმაღლესი, ზოგადი განათლება ან არანაირი განათლება (განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2019). ამ რთულ სისტემაში გარკვევა უფრო ადვილი შეიძლება იყოს შედარებით მაღალკვალიფიციური სტუდენტებისთვის დიდ ქალაქებში, მაგრამ ეს არ იქნება ადვილი უფრო დაუცველი ჯგუფებისთვის, მაგალითად, ღარიბი / სოფლის მაცხოვრებელი სტუდენტებისთვის, განსაკუთრებული საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის და ა.შ., ასე რომ, პროფესიული განათლების კომპლექსურმა სისტემამ შეიძლება შექმნას გარკვეული ინფორმაციული ბარიერები, განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფებისთვის. ამ ჯგუფებს დასჭირდება უფრო მეტი კონსულტაცია და მითითება სწორი

არჩევანის გასაკეთებლად, საუკეთესო პროფესიული კოლეჯის ანდა პროგრამის მოსაძიებლად.

პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველოში განათლებაზე უთანასწორო წვდომა და მცირე მონაწილეობა პროფესიული განათლების სისტემის მთავარი მახასიათებელი იყო. ზოგადი და პროფესიული განათლების მიღების დისბალანსი (ზოგადი განათლების სასარგებლოდ) არ არის გამოწვეული მხოლოდ პროფესიული განათლების შეზღუდული ინფრასტრუქტურით, არამედ პროფესიული განათლებისა და “ლურჯი საყელოს” სამუშაოების მიმართ დამოკიდებულებითა და ნაკლები პროგრესის შესაძლებლობით განათლების ზედა საფეხურებზე (2019 წლამდე). ზრდასრულების მონაწილეობაც შეზღუდულია პროფესიულ განათლებასა და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის პროცესში. 2018 წელს 25-64 წლის ასაკის ადამიანების მხოლოდ 1% –მა მიიღო გარკვეული სახის ტრენინგში მონაწილეობა (საქსტატი, LFS 2018). მიუხედავად იმისა, რომ საჯარო დაწესებულებებში პროფესიული განათლების სტუდენტთა თითქმის 40% ზრდასრულები არიან (ცხრილი 13), პროფესიული განათლების ზომა იმდენად მცირეა, რომ ეს რაიმე თვალსაჩინო გავლენას ვერ ახდენს ქვეყნის მასშტაბით. საინტერესოა, რომ სამინისტროს მიერ ჩატარებული 2016-17 წლის კურსდამთავრებულთა კვლევის მიხედვით პროფესიული განათლების კურსდამთავრებულთა აბსოლუტური უმრავლესობა კმაყოფილია პროფესიული განათლებით, საგანმანათლებლო დაწესებულებითა (93%) და არჩეული პროფესიით (82%) (MES 2019).

3.2. პროფესიული განათლების განსხვავებული ხარისხი და შესაბამისობა

3.2.1 პრობლემა

პროფესიული განათლების სისტემას, შრომის ბაზრის საჭიროებებთან შესაბამისობისა და მიმზიდველობის თვალსაზრისით (MoES 2019) მნიშვნელოვანი გამოწვევები აქვს. პროფესიული განათლების წარმატებული მაგალითები არსებობს, მაგრამ ხარისხი მნიშვნელოვნად განსხვავდება დაწესებულებებს, ქალაქებს, თუ პროგრამებს შორის. ხარისხი შეიძლება უფრო მკვეთრად განსხვავდებოდეს დაწყებითი (1-2-3 საფეხურებს) და საშუალო პროფესიული განათლების (4-5 საფეხურის) დონეებს შორის, ან პროფესიულ და საზოგადოებრივ კოლეჯებს შორის. ასევე, შეიძლება განსხვავდებოდეს დუალური/სამუშაოზე დაფუძნებული და სკოლის სწავლების ხარისხი. შედეგად, პროფესიული განათლება ბევრისთვის ჯერ კიდევ მეორე არჩევანია უმაღლეს განათლებასთან მიმართებაში. პროფესიული განათლების „სტიგმას“ ასევე აღრმავებს მოუწყობელი ინფრასტრუქტურა თუ სწავლების დაბალი ხარისხი.

შრომის ბაზრის ზოგიერთი ტენდენცია ასევე ადასტურებს პროფესიული განათლების განსხვავებულ ხარისხს. ზოგიერთ სექტორში დამსაქმებლები ზოგადი (საშუალო) განათლების კურსდამთავრებულებთან შედარებით, პროფესიული განათლების კურსდამთავრებულებს უპირატესობას არ ანიჭებენ. მართლაც, საქართველოში პროფესიული განათლების შესაბამის სფეროებში ხშირად განათლების სხვა დონის პირები მუშაობენ. განათლების სამინისტროს მიერ ჩატარებულმა კურსდამთავრებულთა კვლევამ აჩვენა, რომ 2016 წელს პროფესიული განათლების კურსდამთავრებულთა მხოლოდ 17% მუშაობდა თავის სფეროში, ხოლო 2017 წელს 21% (MoES 2017). 2017 წელს ტურიზმის სექტორში შრომის ბაზრის კვლევის თანახმად, ტურიზმის სფეროში დასაქმებულთა მხოლოდ 17% იყო პროფესიული განათლების (ტურიზმის) კურსდამთავრებული, 36%-ს საშუალო განათლება (MoESD 2018bწ), ხოლო 47% -ს ჰქონდა უმაღლესი განათლება. პროფესიული განათლების კურსდამთავრებულებმა ასევე განაცხადეს, რომ მათი დასაქმების ძირითადი ბარიერი (MoES 2019) მათ პროფესიასა და კვალიფიკაციაზე ნაკლები მოთხოვნა, გამოცდილების არარსებობა და დაბალი ხელფასია.

საქართველოს ოთხ რეგიონში მცხოვრებ ახალგაზრდებთან ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ამ რეგიონებში დამსაქმებლები პირველ რიგში ეძებენ საშუალო და დაბალი კვალიფიკაციის დონის მქონე ადამიანებს (SAVE-DEPA 2018). განსაკუთრებული პრობლემა იყო შემდეგი სპეციალისტების მოძიება: ელექტრო და ელექტრონიკის შემკეთებელები, კომპიუტერის სპეციალისტები, სანტექნიკოსები, დურგლები, კვებისა და სასტუმროს მენეჯმენტის სპეციალისტები, ინჟინრები, მექანიკოსები, ვეტერინარები, სამრეწველო ელექტრიკოსები, ქიმიური და კვების ტექნოლოგები და შემდუღებლები. ამასთან, ამ რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდების მხოლოდ 15% -ს აქვს პროფესიული განათლება მიღებული და ძირითადად სპეციალიზირებულნი არიან სააფთიაქო, ინფორმაციული ტექნოლოგიების, საექთნო და სამშენებლო მიმართულებით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ დარგის მაგალითზე არსებობს შეუსაბამობა კვალიფიკაციის დონესა და რეგიონში მოთხოვნა-მიწოდებას შორის.

ამავე გამოკითხვის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ დამსაქმებლები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ტექნიკურ კომპეტენციებს, თანამშრომლების შერჩევისას მათთვის ასევე მნიშვნელოვანია ტრანსფერული უნარები. მათ აღნიშნეს, რომ ახალგაზრდებს ჩვეულებრივ არ აქვთ პასუხისმგებლობის გრძნობა, პუნქტუალურობა, დისციპლინა და მოტივაცია. ინტერპერსონალური ტრანსვერსიული უნარებიდან დამსაქმებლები ითხოვენ კომუნიკაციის, გუნდური მუშაობის, ხელმძღვანელობისა და პრობლემების გადაჭრის უნარებს, რაც ახალგაზრდებს ხშირად აკლიათ. ახალგაზრდებიც საკუთარი თვითშეფასების საფუძველზე მიუთითებენ, რომ მათ ეს უნარები ყველაზე ნაკლებად აქვთ განვითარებული, მათ შორის არიან ასევე პროფესიული განათლების კურსდამთავრებულებიც. აქედან გამომდინარე,

ძირითადი და სოციალური კომპეტენციები ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ტექნიკური უნარები, თუმცა ხშირად ეს უნარები ახალგაზრდებს არ აქვთ.

2000 ახალგაზრდასთან პირისპირ ჩატარებული კიდევ ერთი კვლევა ნათელ სურათს გვაძლევს ახალგაზრდების განათლებიდან შრომის ბაზარზე გადასვლის შესახებ (ბადურაშვილი და ალ. 2019) 4. როგორც ცხრილი 17 – შია მოცემული, ახალგაზრდების თითქმის ნახევარმა პირველი სამუშაო იპოვა სწავლის დამთავრებიდან 6 თვის განმავლობაში, თუმცა 5 –9 % განსხვავებაა განათლების დონეებს შორის. საინტერესოა, რომ ამ პროცესში ყველაზე ცუდი შედეგი აქვთ ქვედა, საშუალო და საწყისი პროფესიული განათლების კურსდამთავრებულებს (1-3 დონეები); ხოლო საშუალო პროფესიული განათლების (საშუალო საფეხურის) კურსდამთავრებულები (4-5 საფეხურები) უფრო წარმატებულები არიან, ვიდრე დაწყებითი პროფესიული განათლების კურსდამთავრებულები (სწავლის დასრულების შემდეგ ნებისმიერ პერიოდში). დროთა განმავლობაში, სწავლის დასრულების შემდეგ საგანმანათლებლო განსხვავებები თანდათან მცირდება თუმცა, ზოგადად, ყველაზე წარმატებულად საქმდებიან უმაღლესი განათლებისა და საშუალო პროფესიული განათლების კურსდამთავრებულები. საინტერესოა, რომ ზედა საშუალო განათლების კურსდამთავრებულები ოდნავ უკეთეს შედეგებს აჩვენებენ, ვიდრე პროფესიული განათლებისა კურსდამთავრებულები სწავლის დასრულებიდან სამი წლის შემდეგ (Badurashvili et al, 2019).

ცხრილი 17. 18-35 წლის ახალგაზრდების დასაქმება წილი სწავლის დასრულების შემდეგ სქესის და განათლების მიხედვით

სქესის მიხედვით	დასაქმება სწავლის დასრულების შემდეგ				
	6 თვე	12 თვე	24 თვე	36 თვე	60 თვე
კაცი (%)	52	61	72	79	87
ქალი (%)	41	49	61	68	78
განათლების დონის მიხედვით	6 თვე	12 თვე	24 თვე	36 თვე	60 თვე
ქვედა საშუალო (%)	41	47	53	62	73
ზედა საშუალო (%)	43	50	62	71	80
საწყისი პროფესიული განათლების (%)	38	47	57	64	75
საშუალო პროფესიული განათლების (%)	47	52	64	69	74
ბაკალავრიატი (BA) (%)	49	58	71	79	87
მაგისტრატურა და დოქტორანტურა (MA / PhD)%	56	67	73	76	82

წყარო: ბადურაშვილი და სხვა 1 2019, ადაპტირებულია 3.4 ცხრილის საფუძველზე გვ.31.

საშუალო პროფესიული განათლების კურსდამთავრებულების შედეგები უკეთესია დაწყებითი პროფესიული განათლების კურსდამთავრებულთა შედეგებზე, სწავლის დასრულებიდან ნებისმიერ დროს (ბადურაშვილი და ალ. 2019). უფრო მეტიც, დუალური პროფესიული განათლების კურსდამთავრებულები უფრო წარმატებულები არიან სკოლაზე დაფუძნებული

4 ბამბერგის უნივერსიტეტს (გერმანია) და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობით, კვლევა ჩატარდა 2016 წლის ოქტომბერ-დეკემბრის ჩათვლით შერჩევაზე რომელიც შერჩეული იყო მრავალსაფეხურიანი კასეტური შერჩევის გზით, სტრატეგიკაციის გამოყენებით. საქართველოს ყველა რეგიონში 11,835 ოჯახიდან პირისპირ 2000-დან სტანდარტიზებული ინტერვიუ ჩატარდა 18-დან 35 წლამდე ასაკის ახალგაზრდებთან, რომლებმაც დატოვეს განათლების სისტემა ბოლო ათი წლის განმავლობაში. პასუხის მაჩვენებელი 86.0% -ია რაც სანდო მონაცემია (იხ. ბადურაშვილი და ალ 2019)

სწავლების კურსდამთავრებულებთან შედარებით, მაგრამ საშუალო პროფესიული განათლების კურსდამთავრებულები უფრო წარმატებულები არიან, ვიდრე დაწყებითი პროფესიული განათლების კურსდამთავრებულები. დაბოლოს, ქვედა საშუალო, დაწყებითი და საშუალო პროფესიული განათლების კურსდამთავრებულთა თითქმის ერთი მეოთხედი ჯერ კიდევ უმუშევარია სწავლის დასრულებიდან ხუთი წლის შემდეგ (ცხრილი 17). მაშინაც კი, თუ კურსდამთავრებულები სწრაფად პოულობენ სამუშაოს, ეს ავტომატურად არ ნიშნავს ხარისხიან სამუშაოზე დასაქმებას. გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ უმაღლესი განათლების კურსდამთავრებულებს უკეთესი შესაძლებლობა აქვთ იპოვიონ ფორმალურ სექტორში სამუშაო (81%), მათ მოჰყვებიან საშუალო პროფესიული განათლების კურსდამთავრებულები (70%) (Badurashvili et al, 2019).). დასკვნის სახით, საშუალო პროფესიული განათლების კურსდამთავრებულებს აქვთ დასაქმებისა და აქტივობის საშუალო დონე და უმუშევრობის უფრო დაბალი მაჩვენებელი, ვიდრე საშუალო ზოგადი განათლების კურსდამთავრებულებს.

პროფესიული განათლება ასევე ვერ იცავს ახალგაზრდებს არ გახდნენ NEETs. როგორც ცხრილი 18 – შია მოცემული, NEET- ის ყველაზე დიდი ალბათობა პროფესიული განათლების კურსდამთავრებულთა შორის არსებობს (თითქმის ნახევართან), ხოლო ყველაზე დაბალი საშუალოზე დაბალ და უფრო ქვედა საფეხურზე მყოფთათვის. შემდეგი ყველაზე მოწყვლადი ჯგუფია უმაღლესი განათლების კურსდამთავრებულები (თითქმის 40%), რასაც მოჰყვება ზედა საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები (თითქმის 32%). ეს შედეგები სქესის მიხედვით მსგავსია, მიუხედავად იმისა, რომ NEET უფრო მეტი ქალია, ვიდრე კაცი. ეს ადასტურებს, რომ განათლების დონე ყოველთვის არ უკავშირდება NEET მაჩვენებელს და პროფესიული განათლების მიღება ახალგაზრდობას არ იცავს მოწყვლადობისგან. ამავდროულად, სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდებს, რომლებსაც დაბალი განათლება აქვთ, უწევთ დასაქმება სოფლის მეურნეობის სფეროში და (მიუხედავად ძებნისა) ამრიგად, აუცილებლად არ ხდებიან NEET (ETF 2018).

ცხრილი 18. NEET (15-24 წლის) განათლების დონის მიხედვით

განათლების დონე	ჯამი	კაცი	ქალი
ქვედა საშუალო და ქვემოთ	14.4	12.2	16.9
ზედა საშუალო განათლება	31.5	29.6	34.0
პროფესიული განათლება (უმაღლესის ქვემოთ)	49.6	33.1	64.2
უმაღლესი განათლება	39.3	32.5	43.2
სულ	26.9	23.2	31.0

წყარო: საქსტატი, LFS 2018.

პროფესიული განათლების კურსდამთავრებულების დასაქმების ცვალებადი ტენდენცია კვლავ მიუთითებს პროფესიული განათლების ხარისხისა და შესაბამისობის პრობლემაზე. პროფესიული განათლების ხარისხი დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე, როგორცაა სასწავლო პროგრამა, სასწავლო მასალები, სასწავლო პროცესები და ინფრასტრუქტურა, სახელოსნოები (ენერჯია, გათბობა, დენი და ა.შ.) და სერვისები (გაწმენდა, მოვლა და ა.შ.) (MoES 2019). მონაცემები აჩვენებს, რომ ამ თვალსაზრისით ზოგიერთი დაწესებულება სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს. სასწავლო გარემოს მოთხოვნები გათვალისწინებულია ავტორიზაციის სტანდარტებში, რაც სავალდებულოა ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისთვის. ამასთან, მხოლოდ მინიმალური ტექნიკური სტანდარტებია დადგენილი და ექსპერტებიც შესაბამისად ატარებენ შეფასებას. მაგალითად, EBRD-ის 2018 წლის პროექტის მიხედვით "მედდის უნარები საქართველოში: საექტონო სახელმძღვანელოსა და ტექსტების შემუშავება ქართულ ენაზე" მიუთითებს, რომ ბოლო დრომდე საექტონო სასწავლო გეგმა მოძველებული იყო. ამასთან, სასწავლო გეგმების

ბოლოდროინდელი მოდერნიზაციის შემდეგ, პროფესიულ კოლეჯებს არ აქვთ განახლებული ქართულენოვანი საექთნო სახელმძღვანელოები და ტესტები. ამჟამად EBRD-ს პროექტი ამ მიმართულებით მუშაობს.

ხარისხის კიდევ ერთი მაჩვენებელი იქნებოდა მიტოვების მაღალი მაჩვენებლის შემცირება საქართველოში. 2018 წელს, მიტოვების მთლიანი მაჩვენებელი 27% იყო (კერძო სკოლებში 21% და საჯარო სკოლებში 30%), ხოლო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასრულების მაჩვენებელი 68% (კერძოში 75% და საჯარო პროფესიულ კოლეჯებში 66%, MoES 2019). მიტოვების მაჩვენებლის ზოგადი გამოკვლევა არ ჩატარებულა, მაგრამ მტკიცებულებების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამის მიზეზია: სამხედრო სამსახური (მამაკაცებისთვის), სწავლის საფასური კერძო კოლეჯებში, სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა (უმაღლესი) და დასაქმება (სამუშაოს მოძებნა). პროფესიული კოლეჯები ცდილობენ კომპანიებთან პარტნიორობის გაფორმებას სწავლებისა და სახელოსნოების გასაუმჯობესებლად, რაც ყოველთვის წარმატებით არ მთავრდება. პრინციპში, ყველა პროფესიულ პროგრამაში 40% პრაქტიკულ სწავლებაზეა გათვალისწინებული, მაგრამ განსხვავება სკოლასა და სამუშაოზე დაფუძნებულ პრაქტიკულ ტრენინგს შორის გარკვეულწილად ბუნდოვანია (ETF 2016). მიუხედავად იმისა, რომ პროფესიულ პროგრამებში თანდათანობით იზრდება პრაქტიკის წილი (დონორი პროექტების მონაწილეობით, როგორცაა GIZ), სამუშაოზე დაფუძნებული სწავლის წილი კვლავაც დაბალია.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია პროფესიული განათლების მასწავლებლების ხარისხი და სტატუსი. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწოდებული მონაცემების მიხედვით, 2019 წლის აგვისტოს მდგომარეობით საქართველოში 3260 პროფესიული განათლების პედაგოგი იყო. მასწავლებელი-სტუდენტთა თანაფარდობა შედარებით კარგია - 2017 წელს ეს მაჩვენებელი 20.2 იყო და 2018 წელს - 28. თუმცა პროფესიული განათლების პედაგოგების დაახლოებით 72% 40 წელზე მეტი ასაკის იყო, მათგან თითქმის ნახევარი 50 წელზე უფროსი ასაკისა (არ არსებობს ასაკობრივი შეზღუდვა). მასწავლებელთა ორი მესამედი ქალი იყო. ბოლო დრომდე პროფესიული განათლების მასწავლებლებს არ მოეთხოვებოდათ პედაგოგიური ტრენინგის გავლა. პრობლემაა პროფესიულ მასწავლებლების დაბალი ხელფასები და პენსიები და ასევე ის, რომ ისინი საკმაოდ ხანდაზმულობამდე ასწავლიან. როგორც ადრეც მივუთითეთ, მათი სამუშაო სტატუსი არის მყიფე, რადგან ისინი მუშაობენ მხოლოდ კოლეჯებში, სადაც დაქირავებულნი არიან კოლეჯის დირექტორის მიერ, ამიტომ ნახევარ განაკვეთზე მუშაობა საკმაოდ ხშირია.

დაბოლოს, მნიშვნელოვანია ბიუჯეტის განაწილების საკითხის პროფესიული განათლების სფეროში. საშუალო დანახარჯები განათლებაზე, განსაკუთრებით კი პროფესიული განათლების პროგრამაზე, საერთაშორისო სტანდარტებთან შედარებით საქართველოში დაბალია. OECD-ს ქვეყნებში საშუალოდ განათლებაზე 5% -ს ხარჯავენ, საქართველოს მთლიანი განათლების ხარჯები მშპ-ს წილიდან, 2000-იანი წლების დასაწყისიდან 2% -3% -მდე მერყეობს. პროფესიული განათლების ხარჯები არასოდეს აღემატებოდა განათლების ბიუჯეტის 3-4% -ს (ცხრილი 19). ბოლო ათწლეულში პროფესიულ განათლებაზე გაწეული ხარჯების გარკვეული ზრდის მიუხედავად, ის მაინც საკმაოდ დაბალია საწყისი დაბალი დაფინანსებიდან გამომდინარე. პროფესიული განათლებისა და ბიუჯეტის შემდგომი ზრდა, როგორც ჩანს, გარდაუვალია, თუ გავითვალისწინებთ რომ ქვეყანას პროფესიული განათლების სფეროში ამბიციური გეგმები აქვს, როგორცაა საგანმანათლებლო ქსელის გაფართოება, სტუდენტების რაოდენობის გაზრდა, მათ შორის რეგიონებში, სტუდენტური საერთო საცხოვრებლების მოწყობა და სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესება რეგიონების სტუდენტებისთვის.

ცხრილი 19. განათლების, მათ შორის პროფესიული განათლების ხარჯები

	2014	2015	2016	2017	2018
მშპ-ს %	3.2	3.4	3.8	3.8	3.1
სახელმწიფო ხარჯების%	10.6	11.1	12.2	12.7	12.7
პროფესიული განათლების ხარჯები (მთლიანი საჯარო ხარჯების%)	3.7	2.7	2.7	3.1	2.8

წყარო: საქსტატის გაანგარიშებები, რომელიც დაფუძნებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებზე + MES 2019.

3.3. პოლიტიკის პასუხი არსებულ გამოწვევებზე

საქართველოს მთავრობა აცნობიერებს ამ გამოწვევებს და შესაბამისად 2020 წლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში სამი მთავარი მიზნიდან ”უნარების გაძლიერება” ერთ-ერთია. ათ წელზე მეტია რაც მიმდინარეობს რეფორმები საქართველოს პროფესიული განათლების სისტემაში. ”განათლებისა და მეცნიერების ერთიან სტრატეგიას 2017-2021”, რომელიც განათლების უახლესი პოლიტიკის დოკუმენტია, ჰოლისტიური მიდგომა აქვს და აერთიანებს განათლების ყველა დონეს; მისი მიზანია ხარისხიანი განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარება და მთელი ცხოვრების მანძილზე განათლების უზრუნველყოფა. ახალ საგანმანათლებლო პოლიტიკის დოკუმენტებში უფრო მეტი აქცენტი კეთდება საკვანძო კომპეტენციების განვითარებაზე; მაგალითად, ციფრული უნარები, უცხო ენები და სოციალური უნარები და მთელი სიცოცხლის განმავლობაში განათლება.

პროფესიული განათლების რეფორმების მიზანი ასევე ძალიან ფართო და ამბიციურია: ”მომდევნო ათწლეულის განმავლობაში საქართველოს მთავრობის პრიორიტეტების მხარდაჭერა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და სიღარიბის დაძლევაში; ადამიანური რესურსების განვითარების ხელშეწყობა ინდივიდუალურ და ეროვნულ დონეზე, ქვეყნის მოკლევადიანი, საშუალო და გრძელვადიანი შრომის ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად”(MoES 2019). ამრიგად, პროფესიული განათლების სისტემამ წვლილი უნდა შეიტანოს ქვეყნის როგორც ეკონომიკურ, ასევე სოციალურ განვითარებაში (სიღარიბის შემცირებით). განათლებისა და მეცნიერების ერთიან სტრატეგიის (2017-2021) ერთ-ერთი მიზანია პროფესიული განათლების სტუდენტების რაოდენობის გაზრდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშესაწყობად და მათი კონკურენტუნარიანობის გაზრდა, როგორც პროფესიული, ისე ზოგადი უნარების განვითარება. სხვადასხვა სამთავრობო დოკუმენტებში მითითებულია ახალგაზრდობის (15-24 წლის ასაკში) მონაწილეობის გაზრდა პროფესიულ განათლებაში 8-დან 10% -მდე - რაც 2017 წელს 4.5% იყო.

2018 წელს მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ახალი პროფესიული განათლების შესახებ კანონის დამტკიცება. კანონის სრულ განხორციელებას გარკვეული დრო დასჭირდება, რადგან საჭიროა კანონქვემდებარე აქტებისა და დებულებების ამოქმედება, პროფესიული სასწავლებლების ინფრასტრუქტურისა და შესაძლებლობების გაუმჯობესება, თუმცა კანონი ქმნის მკაფიო სამართლებრივ საფუძველს სისტემაში მრავალი ინოვაციის დასანერგად. მაგ: პროფესიული განათლებისა და ზოგადი განათლების ინტეგრირება, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სფეროებს შორის მოქნილი კავშირის უზრუნველყოფა, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლის გაფართოება, ზრდასრულთა განათლებისა და მოკლე ციკლის პროგრამების სტიმულირება, კერძო სექტორის როლის გაძლიერება კერძო და საჯარო პარტნიორობის ფარგლებში, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარება, არაფორმალური განათლების აღიარება და ა.შ.

პროფესიული განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიის დოკუმენტებში, ერთიანი განათლების სტრატეგიასა და 2018 წლის ახალი პროფესიული განათლების შესახებ კანონში, ხაზგასმულია პოლიტიკის 3 მნიშვნელოვანი მიმართულება:

- (I) პროფესიული განათლების შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
- (II) ყველასათვის ხელმისაწვდომი პროფესიული განათლების სისტემის ჩამოყალიბება მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის საფუძველზე;
- (III) მიმზიდველი პროფესიული განათლების ფორმირება (პოპულარიზაცია) საზოგადოების ყველა ჯგუფისთვის.

ეს მიზნები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და ერთი მიზნის მიღწევა შეიძლება სხვა მიზნების მიღწევასაც ემსახურებოდეს. ძნელია იმის დადგენა, თუ რომელი პოლიტიკა რომელი მიზნის მისაღწევად არის შექმნილი, თუმცა შემდეგ თავებში გაანალიზებულია პოლიტიკის რეაგირება ამ სამი მიზნის მისაღწევად. მაგალითად, "შესაბამისი პროფესიული განათლების" მისაღწევად პოლიტიკის ძირითადი ფოკუსია კერძო სექტორის ჩართულობა (სამუშაო სამყარო) როგორც პროფესიული განათლებისა და პროგრამების შემუშავებაში, ისე მიწოდებასა და სამუშაოზე დაფუძნებული სწავლის პროცესში. „ხელმისაწვდომობის“ გაზრდის მიზნით ხაზგასმულია პროფესიული განათლების მიწოდების (უფრო მეტი სკოლა) გაზრდა და დივერსიფიცირება (უფრო მეტი ტიპის პროგრამები) მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა და საშუალო განათლების სფეროში პროფესიული განათლების ინტეგრირება. "მიმზიდველი პროფესიული განათლების" ძირითადი მექანიზმებია ჩიხების აღმოფხვრა, პროფესიული და საშუალო განათლების ზედა საფეხურის ინტეგრირება, სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, და პროფესიული განათლების პოპულარიზება.

3.3.1. "შესაბამისი პროფესიული განათლების" უზრუნველყოფა

როგორც ტურინის პროცესის ეროვნულ ანგარიშში დეტალურადაა აღწერილი (MoES 2019), საქართველომ გაატარა ღონისძიებები კერძო სექტორის მონაწილეობის გასაზრდელად როგორც პროფესიული განათლების დაგეგმვის, ისე განხორციელების პროცესში. მაგალითად, პროფესიული განათლების ეროვნულ საბჭოში გაერთიანებულია სოციალური პარტნიორები და სამოქალაქო საზოგადოება, თემატური სამუშაო ჯგუფები განიხილავენ და რეკომენდაციას უწევენ პროფესიული განათლების პოლიტიკის შემქმნელებს, დარგობრივი საბჭოები ვალიდაციას უკეთებენ პროფესიულ და საგანმანათლებლო სტანდარტებს, განიხილება საჯარო-კერძო პარტნიორობის სხვადასხვა მოდელები. 2019 წელს დამტკიცდა ახალი ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო (NQF). თუმცა, როგორც მუშაობს ყველა ეს სტრუქტურა და მექანიზმი პრაქტიკაში, დამატებით ანალიზს საჭიროებს. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლებისა და დუალური განათლების კონცეფცია დიდ ყურადღებას იმსახურებს და ბოლო ათწლეულია პოლიტიკის დღის წესრიგში დგას. შესაძლოა რომ ყველა ამ მექანიზმმა გაზარდოს პროფესიული განათლების შესაბამისობას შრომის ბაზართან.

ყველა პროგრამაში მინიმუმ 40%-იანი პრაქტიკული სწავლებაა გათვალისწინებული; პროფესიული სტანდარტიდან გამომდინარე ზოგიერთ კურსზე ითხოვენ უფრო მეტ პრაქტიკას. ამ ცვლილებებმა განაპირობა პრაქტიკული ტრენინგის გაზრდა როგორც კოლეჯში, ასევე სამუშაო გარემოში, მაგრამ პრაქტიკის ჯამური მოცულობა ჯერ კიდევ არასაკმარისია. გარდა ამისა, კოლეჯსა და სამუშაოზე დაფუძნებულ პრაქტიკულ ტრენინგებს შორის განსხვავება გარკვეულწილად ბუნდოვანია (ETF 2016). პროფესიული პროგრამა მოიცავს სამუშაო გამოცდილებას, სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებას, სკოლაზე დაფუძნებულ პრაქტიკულ ტრენინგსა და გარე პროექტის მოდულებს.

არსებობს გარკვეული მიღწევები კერძო სექტორის ცნობიერების ამაღლებისა და მათ დუალურ განათლებაში ჩართვის თვალსაზრისით. კომპანიების რაოდენობა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს დუალურ განათლებაში, 11 – დან 51 – მდე გაიზარდა, ხოლო 2019 წელს შეიქმნა ახალი პროგრამები კერძო სექტორის პარტნიორობით (MoES 2019). ამ წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა საერთაშორისო დონორების მიერ დანერგილმა და დაფინანსებულმა

პროექტებმა. ახალი კანონის ამოქმედებით ასევე განვითარდა ზრდასრულთა განათლების ახალი სისტემა კერძო სექტორთან თანამშრომლობით; კომპანიებს შეუძლიათ მიიღონ ავტორიზაცია (პროფესიული განათლების სკოლასთან ან დამოუკიდებლად) განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან და განახორციელონ მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამები, კურსდამთავრებულებს გადასცენ სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერთიფიკატები. ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ იურიდიული ასპექტია და გარკვეული დროა საჭირო რომ ვნახოთ რამდენად განახორციელებენ კომპანიები პროფესიულ კურსებს. შედეგი დამოკიდებული იქნება იმაზე, რამდენად მომგებიანად მიიჩნევენ ბიზნესი ამ ინიციატივას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდულარიზება შემდეგ თავში განხილულია "ხელმისაწვდომი პროფესიული განათლების" კონტექსტში შესაბამისად, ღრმად არ არის განხილული შესაბამისობის ნაწილში. საქართველო საგნობრივ პროგრამებს თანდათანობით ანაცვლებს მოდულური პროგრამებით, რაც ასევე აუმჯობესებს პროგრამების შესაბამისობას შრომის ბაზართან. საგნობრივი პროგრამების ხანგრძლივობა 9 თვე იყო; 2019 წლიდან მხოლოდ მოდულური პროგრამები ისწავლება, რომელთა სრულად განხორციელებას მინიმუმ 1.5 წელი სჭირდება. გარდა ამისა, 2015 წლიდან სამეწარმეო სწავლა გახდა სავალდებულო ყველა მოდულურ პროგრამაში; სავალდებულოა სასწავლო მასალები, როგორცაა სტუდენტის წიგნი "მეწარმეობა", მასწავლებელთა სახელმძღვანელო "მეწარმეობა". დასაქმების პრობლემებიდან გამომდინარე ამან შეიძლება ხელი შეუწყოს კურსდამთავრებულთა თვითდასაქმებას. 2016 წელს სამინისტრომ 14 კოლეჯში სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიები შექმნა (ე.წ. FABLAB), სადაც სტუდენტებს შეუძლიათ ისწავლონ ციფრული უნარები და შექმნან ინოვაციური პროდუქტები (MoES 2019).

3.3.2. უფრო "ხელმისაწვდომი პროფესიული განათლება"

პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად აუცილებელია მიწოდების (ზომა) გაზრდა, განსაკუთრებით საქართველოს რეგიონებში; გეოგრაფიული დაფარვის გასაუმჯობესებლად განხორციელდა მთელი რიგი აქტივობები: დაარსდა ახალი კოლეჯები და ფილიალები, აშენდა სტუდენტური საერთო საცხოვრებლები, განახლდა კოლეჯები. შშ და სს მქონე სტუდენტებისთვის ადაპტირდა ინფრასტრუქტურა, სასწავლო მასალები (MoES 2019). განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გააფართოვა საჯარო კოლეჯების ქსელი, რომელიც ახლა 65 მუნიციპალიტეტს ფარავს. 2019 წლის გეგმის მიხედვით, 27 მუნიციპალიტეტში გაჩნდება 6 ახალი ლოკაცია. ამ ტენდენციის შესაბამისად იზრდება განათლებისა და მათ შორის პროფესიული განათლებისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსები.

პროფესიული განათლების პროგრამების დივერსიფიკაცია და მოკლევადიანი ტრენინგების შემოტანა მნიშვნელოვანი ინიციატივაა პროფესიული განათლების სფეროში. 2019 წლიდან ყველა საგანმანათლებლო დაწესებულება მთლიანად გადავიდა მოდულურ პროგრამებზე. მოდულური პროგრამები ემყარება საგანმანათლებლო და პროფესიულ სტანდარტებს, რომლებიც მუშავდება დამსაქმებლებთან თანამშრომლობით. მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ძირითადი უპირატესობა არა მხოლოდ შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობა, არამედ სწავლის შედეგებზე ორიენტირება, პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება და სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მიდგომების გამოყენება. თითოეულ მოსწავლეს თავად შეუძლია აირჩიოს საკუთარი ინდივიდუალური სწავლის გზა, მეტი თავისუფლება ჰქონდეს საკუთარი განათლების არჩევისა და დაგეგმვის პროცესში (MoES 2019). ცხადია, ეს ხელს შეუწყობს მოქნილობასა და ხელმისაწვდომობას პროფესიული განათლების სფეროში.

ამ მოქნილობას ემატება მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამების სწავლება, რის შემდეგაც გაიცემა სახელმწიფო სერთიფიკატი. ახალი პროფესიული განათლების კანონის

თანახმად, საგანმანათლებლო დაწესებულებებს საშუალება ექნებათ ასწავლონ მოკლევადიანი პროგრამები დამატებითი ხარისხის უზრუნველყოფის გარეშე, თუ მათ პროფესიული პროგრამების სწავლებაზე უკვე აქვთ მოპოვებული ავტორიზაცია (MoES 2019). არაფორმალური განათლების აღიარება (VNFIL) ადამიანებს ასევე მისცემს შესაძლებლობას გააგრძელონ უწყვეტი განათლება. მთლიანობაში, მოსალოდნელია, რომ სისტემა ხელს შეუწყობს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლას და გაზრდის ზრდასრულთა განათლებას საქართველოში.

პროფესიული განათლების ახალი კანონის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინიციატივაა პროფესიული განათლების საშუალო განათლებასთან ინტეგრირება. ამ საკითხზე მოსამზადებელი სამუშაოები ჯერ კიდევ მიმდინარეობს, ასე რომ, ჯერჯერობით არ არის ხელმისაწვდომი საბოლოო გეგმა „როგორ“ დაინერგება ეს ყველაფერი. პრინციპში, საქართველოში ამ ინიციატივამ შეიძლება მნიშვნელოვნად გაზარდოს პროფესიულ განათლებაში ჩართულობა, რადგან შემცირდება პროფესიულ განათლებასა და საშუალო საფეხურზე ჩარიცხვას შორის კონკურენცია 15-18 წლის ასაკობრივ ჯგუფში. ადრე პროფესიული განათლების კურსდამთავრებულთა დიპლომები არ უტოლდებოდა საშუალო განათლების დიპლომს, მაგრამ ახალი „ინტეგრირებული“ მიდგომით შეიძლება გაიცეს დიპლომი, რომელიც გააერთიანებს პროფესიულ და საშუალო საფეხურის განათლებას.

და ბოლოს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2016 წლის შემდეგ არაერთი ინიციატივა წამოიწყო, რათა პროფესიული განათლება უფრო ხელმისაწვდომი და ინკლუზიური გამხდარიყო შშმ და სსმ პირებისთვის. ამ ინიციატივებს შორისაა ინსტიტუციური აღჭურვილობის, სასწავლო მასალებისა და აღჭურვილობის ადაპტაცია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საჯარო პროფესიული განათლების პროვაიდერები ადგილების არანაკლებ 10% -ს სპეციალური საჭიროების/შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის გამოყოფენ (MoES 2019). ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს შეუძლიათ ჩააბარონ პროფესიული განათლების მისაღები გამოცდა საკუთარ ენაზე (აზერბაიჯანული, სომხური და რუსული) და დაიწყოთ სწავლა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებსა და პარალელურად ქართული ენის კურსებზე. დევნილი სტუდენტთათვის ტრანსპორტირების ხარჯები იფარება, რაც მათ პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობას ზრდის; ცხადია ეს წარმატებული ინიციატივაა, თუმცა ბენეფიციარების რაოდენობა ძალიან მცირეა.

3.3.3 უფრო "მიმზიდველი პროფესიული განათლებისთვის"

ყველა ინიციატივამ, რომელიც თავმოყრილია "შესაბამისი და ხელმისაწვდომი პროფესიული განათლების" თავებში, საბოლოოდ შეიძლება ხელი შეუწყოს პროფესიული განათლების მიმზიდველობის გაზრდას საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდში. მაგალითად, მოდულური პროგრამები უფრო მეტ თავისუფლებას მისცემს სტუდენტებს თავად დაგეგმონ სასწავლო პროცესი, დუალური/სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება გაზრდის შესაბამისობას და მეტ სტუდენტს მოიზიდავს პროფესიული განათლების სფეროში, მოკლევადიანი პროგრამები სწავლების მეტ შესაძლებლობას მისცემს დასაქმებულ ზრდასრულს და ა.შ. საშუალო განათლების სფეროში პროფესიული განათლების ინტეგრირება უფრო მეტ 15-18 წლის ასაკის ახალგაზრდას მოიზიდავს, რათა ერთდროულად აიღონ საშუალო და ზოგადი განათლების დიპლომები; სწავლებისა და სწავლის ხარისხის ამაღლება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია. 2019 წელს სამინისტრომ გადახედა ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს (QAF) და პროფესიული განათლების ავტორიზაციის სტანდარტებს; სამინისტრო ასევე გეგმავს მეტი ინვესტიციის განხორციელებას ინფრასტრუქტურასა და სასწავლო გარემოში, პროფესიული განათლების მასწავლებლების ხარისხისა და სტატუსის გაუმჯობესებას (MoES 2019).

მნიშვნელოვანი ინიციატივები უკავშირდება პროფესიულის მასწავლებლის მოდერნიზაციას. ეს ითვალისწინებს საკვალიფიკაციო მოთხოვნების გაზრდას მასწავლებლის სტატუსის მისაღწევად და უწყვეტი კარიერული განვითარების უზრუნველყოფას. პროფესიული განათლების მასწავლებელთა სტანდარტი, ტრენინგის მოდელი და მათი პროფესიული განვითარება დამუშავების პროცესშია, ისევე როგორც პროფესიული სტანდარტების და ეთიკის კოდექსი.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ასევე ატარებს ფართომასშტაბიან სარეკლამო კამპანიებს პროფესიული განათლების იმიჯისა და მომხიბვლელობის გასაუმჯობესებლად. აქცენტი კეთდება სტუდენტებისთვის, მშობლებისა და დამსაქმებლებისთვის პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობას. კომუნიკაციის გეგმა მხოლოდ გრძელვადიანი გეგმის დასაწყისია იმისთვის, რომ შეცვალოს საზოგადოების დამოკიდებულება პროფესიული განათლების მიმართ; ქვეყნის მასშტაბით ყოველწლიურად ტარდება მინიმუმ დაჯილდოების 7 ღონისძიება, რომელსაც ერთობლივად აწყობენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და საერთაშორისო დონორები; მათ შორისაა ჰაკატონი და მაკატონი: მასწავლებელთა ჯილდო (MoES 2019). 2017 წელს დაარსდა ეროვნული პროფესიული ჯილდო წლის პროფესიულის სტუდენტის, წლის კოლეჯის, მასწავლებლისა და ბიზნეს პარტნიორისთვის (იხილეთ www.iswd.ge). სავარაუდოდ, ეს ყველაფერი კიდევ უფრო აამაღლებს პროფესიული განათლების იმიჯსა და მიმზიდველობას.

3.3.4. პოლიტიკისა და განხორციელების გამოწვევები

ყველა მიზანი (ხელმისაწვდომი, შესაბამისი და მიმზიდველი პროფესიული განათლება) და ამ მიზნების მისაღწევად საჭირო პოლიტიკის პრიორიტეტები ძალიან მნიშვნელოვანია და შეესაბამება საქართველოს პროფესიული განათლების სფეროს. წინა ნაწილში პოლიტიკის ორიენტირების განხილვამ აჩვენა საქართველოში პროფესიული განათლების პოლიტიკის შემქმნელთა ადეკვატური შესაძლებლობები, თუმცა უნდა შეფასდეს ყველა პოლიტიკის შესაბამისობა, თანმიმდევრულობა და სისწორე.

საქართველოს პროფესიული განათლების სფეროში მნიშვნელოვანი საერთაშორისო დონორები ჰყავს (იხ. ნაწილი 1.3) და როგორც ეს აღწერილია ტურინის პროცესის ეროვნულ ანგარიშში (MoES 2019, გვ. 17-19), საქართველოს მთავრობამ მიიღო და იღებს მნიშვნელოვან დახმარებას პროფესიული განათლების რეფორმის პროცესში. კერძოდ, საერთაშორისო დონორების მხარდაჭერა განსაკუთრებით თვალსაჩინოა წინა თავებში განხილული პროფესიული განათლების პოლიტიკის ჩამოყალიბების პროცესში, მაგალითად სამუშაოზე დაფუძნებული სწავლებისა და სტანდარტების პილოტირების პროცესში. ამან ხელი შეუწყო პროფესიული განათლების სხვადასხვა ვარიანტის განხილვასა და ინტენსიურ დებატებს პოლიტიკის შემქმნელთა შორის.

იმის გათვალისწინებით, რომ პროფესიულ განათლებას აქვს მნიშვნელოვანი საერთაშორისო მხარდაჭერა, ამ ანგარიშში არ იყო განხილული პოლიტიკის რაიმე გამოკვეთილი ხარვეზი, მაგრამ შესაძლოა ეს ხარვეზები დაფიქსირდეს ამ პოლიტიკის დანერგვის პროცესში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ პოლიტიკის უმეტესობა ჯერ კიდევ არის დაგეგმვის ან პილოტირების ან განხორციელების ადრეულ ეტაპზე. სანამ რაოდენობისა და ხარისხის გაზრდის პოლიტიკის დეტალურ განხილვაზე გადავიდოდეთ, შევხებით სამი ზოგადი ტიპის დაკვირვებას, რომელიც პოლიტიკის განხორციელებას უკავშირდება.

პირველი არის დანერგვის პროცესის მიზანშეწონილობისა და მდგრადობის საკითხი. თუ გავითვალისწინებთ რეფორმების ამბიციურ ხასიათს, დიდი რაოდენობის პრიორიტეტებსა და ზოგჯერ ურთიერთგადამფარავ მიზნებს, მათი განხორციელება ადვილი არ იქნება. პროფესიული განათლების სისტემის სირთულე მოითხოვს ყველა დაინტერესებული მხარის

მაღალპროფესიონალიზმსა და ეფექტურობას, რაც პრაქტიკაში რთული მისაღწევი იქნება. თუ გავითვალისწინებთ პოლიტიკის პრიორიტეტების რაოდენობას, უნდა გავითვალისწინოთ რომ საუკეთესო პოლიტიკაც კი შეიძლება ვერ განხორციელდეს თუ ეს პროცესი სწორად არ არის დაგეგმილი და ინსტიტუტები და პერსონალი არ არიან სათანადოდ მომზადებულნი. ამრიგად, წარმატებული განხორციელებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს განხორციელების მოტივებსა და საოპერაციო პროცედურებს. განხორციელების პროცესი უნდა დაიგეგმოს საფუძვლიანად; საჭიროა არა მხოლოდ პოლიტიკის შემქმნელთა, არამედ პროფესიული განათლების მიმწოდებლებისა და საბოლოო მომხმარებლების თვალსაზრისის გათვალისწინება.

მეორე არის ცენტრალურ ინსტიტუტებსა და პოლიტიკის შემქმნელებზე უფრო მეტი ფოკუსი ვიდრე „სერვისის მიმწოდებლებსა და საბოლოო მომხმარებლებზე“. დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერის გათვალისწინებით ამ ეტაპზე დადგა დრო, როდესაც მეტი აქცენტი უნდა გაკეთდეს პოლიტიკის განხორციელებაზე და არა პოლიტიკის შემუშავებაზე. მნიშვნელოვანია რეგიონულ დონეზე აქტივობების განხორციელება საბოლოო მომხმარებლების მხარდაჭერით. არსებული მონაცემები საქართველოში ცენტრალი და ადგილობრივი ინსტიტუტების შესაძლებლობებს შორის ძალიან დიდ განსხვავებაზე მიუთითებს. ეს უკანასკნელი ბევრად უფრო სუსტია. ამრიგად, მიუხედავად ეროვნულ დონეზე სწორად შემუშავებული პოლიტიკისა, მათი განხორციელება კარგად უნდა იყოს დაგეგმილი რეგიონულ და სოფლის თემების დონეზე. ამრიგად, საჭიროა პოლიტიკის ფოკუსის გადატანა პოლიტიკის შემქმნელებიდან პროფესიული განათლების საბოლოო მომხმარებლებსა და პროფესიული განათლების მიმწოდებლებზე, განსაკუთრებით რეგიონებში. პროფესიული განათლების პროვაიდერისა და პროფესიული განათლების საბოლოო მომხმარებლების საჭიროებები პრიორიტეტული უნდა გახდეს.

მესამე არის რეგიონებში ფინანსური და ადამიანური რესურსების ნაკლებობა. ეს საკითხი უკავშირდება პირველ ორ საკითხს; ბიუჯეტი და პერსონალი მნიშვნელოვანია პოლიტიკის ეფექტურად განხორციელებისთვის. დონორების დახმარება ნაკლებად იყო ფოკუსირებული რეგიონებზე და შეეხო მხოლოდ პროფესიული განათლების მიმწოდებლების ნაწილის შესაძლებლობების გაუმჯობესებას. წარმატების მისაღწევად მნიშვნელოვანია რეგიონებში ყველა ადგილობრივი აქტორის მხარდაჭერა. მათ შორის არიან პროფესიული საგანმანათლებლო პროვაიდერები, პროფესიული განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, ადგილობრივი კომპანიები, ადგილობრივი დამხმარე სერვისები, დასაქმების სერვისები და ა.შ., პროფესიული განათლების მიწოდების გაზრდა, დივერსიფიცირება და საკმაოდ რთული სტრუქტურა დამატებით ფინანსურ და ადამიანურ რესურსებს საჭიროებს, რაც ნაკლებად სავარაუდოა, რომ რეგიონებში კერძო სექტორმა ან სტუდენტებმა გადაიხადოს. ამრიგად, პოლიტიკოსებმა უნდა გაითვალისწინონ განათლების ბიუჯეტის გაზრდა, მისი პროფესიულ განათლებაზე მიმართვა და რესურსების გამოყოფა რეგიონებში/სოფლად. დონორების დაფინანსება შეიძლება უკეთესად აისახოს ბიუჯეტზე, ხოლო ხარჯების არაეფექტური ხარჯვა შემცირდეს. ეს აუცილებელია იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანას სურს, რომ რეგიონებში პროფესიული განათლების რაოდენობაც და ხარისხიც გაუმჯობესდეს.

პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობისა და დაბალი მონაწილეობის შესახებ ხარვეზები და რეკომენდაციები

პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობისა და მასში მონაწილეობის გაზრდის მიზნით აუცილებელია რეგიონში უფრო მეტი შეთავაზება, პროფესიული განათლებით დაინტერესებულ მსურველთა რაოდენობის გაზრდა, რომლებიც ამჟამად ნაკლებად არიან წარმოდგენილნი პროფესიული განათლების სფეროში; მაგალითად, აკადემიური განათლებით დაინტერესებული სტუდენტები, რომლებიც გეგმავდნენ უმაღლესი განათლების

გაგრძელებას, ღარიბი/ სოფლის მაცხოვრებლები, დაუცველი ჯგუფები და ა.შ., პროფესიული განათლება ითვალისწინებს ამ საკითხებს და ჩამოყალიბებულია შესაბამისი მიზნები, მაგრამ განხორციელების დეტალები ("როგორ უნდა განხორციელდეს") ჯერ ბოლომდე ნათელი არ არის.

პროფესიული განათლების მასშტაბის გაფართოება მოითხოვს ფინანსური და ადამიანური რესურსების გაზრდასა და არსებული თანხების უფრო ეფექტურად დახარჯვას. არსებული ბიუჯეტი აჩვენებს, რომ გაფართოება შეუძლებელია მხოლოდ სახელმწიფო დაფინანსებისა და საჯარო სექტორის ხარჯზე. ამ გამოწვევის საპასუხოდ პროფესიული განათლების ახალი კანონი გზას უხსნის საჯარო-კერძო პარტნიორობას და კერძო სექტორის მეტ ინვესტიციებს პროფესიული განათლების სფეროში. ეს ლოგიკური გზაა, თუმცა ჯერ-ჯერობით არ არის ნათელი თუ რამდენად დაინტერესდება და ჩაერთვება კერძო სექტორი. უფრო მეტიც, პროფესიული განათლების სისტემა ჯერ კიდევ უფრო მეტად ორიენტირებულია (თუ არა მიკერძოებული) საჯარო პროფესიულ სექტორზე. კერძო სექტორის წარმომადგენლები არ ჩაერთვებიან პროცესში (არც თუ ისე დიდწილად), თუ არ დარწმუნდებიან რომ ეს მათთვის ხელსაყრელია და სისტემას ნამდვილად საჯარო სექტორთან ერთად მართავენ. საჯარო სექტორმა უნდა მიიღოს ის ფაქტი, რომ თუ კერძო სექტორი ინვესტიციას ჩადებს პროფესიული განათლების სფეროში, მან ასევე მონაწილეობა უნდა მიიღოს გადაწყვეტილების მიღებისა და მართვის პროცესში. ამრიგად, პროფესიული განათლების მართვაში კერძო სექტორთან ერთად უნდა მოხდეს პასუხისმგებლობის განაწილება.

პროფესიული განათლების შეთავაზების გაზრდის გარდა, ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება შესაძლებელია გარკვეული ჯგუფებისთვის გეოგრაფიული, ფინანსური, ინფორმაციული და აკადემიური ბარიერების შემცირებით (იხ 3.1.1 თავი). ბარიერების შემცირების ერთ – ერთი გზაა კერძო პროფესიული მიმწოდებლების ჩართვა სისტემაში, ერთიანი პროფესიული განათლების სისტემაში მოყვანა და ყველა პროფესიული განათლების მიმწოდებლისთვის ერთნაირი წესების შექმნა „ერთი დიდი პროფესიული ოჯახის“ სულისკვეთებით. ამან ხელი უნდა შეუწყოს თანამშრომლობასა და კოორდინირებას რეგიონებში საჯარო და კერძო პროფესიული განათლების მიმწოდებლებს შორის.

პროფესიული განათლების რეფორმის კიდევ ერთი მიმართულებაა სტუდენტების რაოდენობის გაზრდა (გაორმაგება ან გასამმაგება) მისი მიმზიდველობის გაზრდის გზით. საჯარო კამპანიის დაწყება პროფესიული განათლების იმიჯის გაუმჯობესების მიზნით მნიშვნელოვანი ნაბიჯია მეტი სტუდენტის მოსაზიდად, მაგრამ ეს საკმარისი არ იქნება პროფესიული სტუდენტების რაოდენობის მკვეთრად გასაზრდელად. როგორც ადრე აღვნიშნეთ, საქართველოში არ არის გამიჯნული დაწყებითი და განგრძობითი პროფესიული განათლება; ასე რომ, სხვადასხვა ასაკისა და განათლების/გამოცდილების მქონე პირები შეიძლება ერთ კლასში სწავლობდნენ. პრინციპში, ეს კარგი პოლიტიკაა, მაგრამ პრაქტიკაში "ყველა სეგმენტის დაფარვა" ნიშნავს არავის საფუძვლიანად დაფარვას. ასე რომ, შესაძლოა ვერ მოხერხდეს პროფესიული განათლების სისტემაში აშკარა სტრუქტურული ცვლილების შეტანა.

ამ მდგომარეობის გათვალისწინებით ქვემოთ მოცემულია რამდენიმე რეკომენდაცია.

R1. პროფესიული განათლების მომხმარებლების უკეთ ცოდნა და დაფარვა

პროფესიული განათლების მომხმარებლების უკეთ დასაფარად პირველი ნაბიჯი არის პროფესიული განათლების სტუდენტების სოციალურ-ეკონომიკური პროფილის შესწავლა განათლების ტიპისა და დონის მიხედვით როგორც საჯარო, ასევე კერძო პროფესიულ სასწავლებლებში. ეს მოგვცემს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ "ვინ მონაწილეობს პროფესიული განათლების სფეროში და რატომ". ამ პროფილის გასაკეთებლად შეიძლება

EMIS მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულ სტუდენტთა სოციალურ-დემოგრაფიული ინფორმაციის გამოყენება (როგორც საჯარო, ასევე კერძო სასწავლებლების) მინიმუმ ბოლო ათწლეულის განმავლობაში. ასევე მნიშვნელოვანია პროფესიული განათლების მიღების მსურველთა რაოდენობის გაანალიზება წლების განმავლობაში, რაც როგორც ანგარიშები აჩვენებს, იზრდება. „ჩარიცხულ სტუდენტებისა“ და „აპლიკანტების“ რაოდენობაში იმდენად განსაკუთრებით კურსებთან მიმართებაში.

R2. პროფესიული განათლების ყველა პროვინციისთვის მსგავსი წესების დაწესება

სახელმწიფომ უნდა შექმნას თანაბარი შესაძლებლობები ყველა სახის პროფესიული განათლების მიმწოდებლისთვის (მაგალითად, საჯარო, კერძო, არასამთავრობო ორგანიზაციების, საშუალო ან უმაღლესი პროფესიული განათლების დონის) ისე, რომ ყველა მათგანს მოუწიოს მსგავსი წესების დაკმაყოფილება. სამართლიანი მოპყრობა ყველა მიმწოდებლის მიმართ, მსგავსი წესების არსებობა ხელს შეუწყობს პროფესიული განათლების ეფექტურობის გაზრდასა და პროცესში უფრო მეტი კერძო პროვინციის შემოყვანას. პროფესიული განათლების ერთიანი სტრუქტურის შექმნამ შეიძლება ხელი შეუწყოს უფრო ჯანმრთელ კონკურენციას პროფესიული განათლების მიმწოდებლებს შორის, და მათ ურთიერთდაბალანსებას.

სახელმწიფო მხარდაჭერა უნდა შეეხოს არა მხოლოდ ფინანსურ საკითხებს, არამედ შესაძლებლობების გაზრდას, კონსულტაციებსა და პროფესიული განათლების მართვის ადაპტირებას ყველა მიმწოდებლისათვის. ეს, სავარაუდოდ, გამოიწვევდა ცვლილებებს პროფესიულ სასწავლებლებთან სამუშაო ურთიერთობების თვალსაზრისით, რადგან ეს უკანასკნელნი აღარ იქნებოდნენ სახელმწიფო სამინისტროების დაქვემდებარებაში, არამედ იქნებოდნენ „თანამონაწილე პარტნიორები“ საერთო მიზნების მიღწევაში.

R3. პროფესიული სტუდენტების ვაუჩერის დაფინანსების სისტემის გაუმჯობესება

სახელმწიფო ვაუჩერის დაფინანსების სქემის შეცვლა ისე შეიძლება, რომ ყველა პროვინციაში (საჯარო და კერძო) განსაკუთრებით პრიორიტეტულ ეკონომიკურ სექტორებში მიიღოს დაფინანსება. კანდიდატებს, რომლებმაც მიიღეს ვაუჩერი, თავისუფლად უნდა შეეძლოთ აირჩიონ ქვეყანაში არსებული ნებისმიერი პროფესიული სასწავლებელი (არ არის აუცილებელი საჯარო პროვინცია); ნებისმიერ შემთხვევაში, ვაუჩერის სისტემები უკეთ მუშაობს მაშინ, როდესაც სტუდენტებს აქვთ კურსების ფართო არჩევანი (მაგ., პროფესიული შეთავაზების თანაბარი განაწილება) და კარგად არიან ინფორმირებული განათლებისა და კარიერული განვითარების შესახებ; ამისთვის საჭიროა კარგად განვითარებული კარიერული კონსულტაციის სისტემა (ყველასთვის). ამ რეფორმასთან დაკავშირებით, „ერთიანი პროფესიული ტესტირება“ შეიძლება გამოყენებული იქნას ყველა სტუდენტისთვის, მათ შორის კერძო კოლეჯებში. დასკვნის სახით, კერძო პროფესიული მიმწოდებლები უნდა ჩაერთონ ერთიან ტესტში და მიიღონ რეიტინგი შეთავაზების ხარისხის მიხედვით. ეს ყველა სასწავლებელს თანაბარ მდგომარეობაში ჩააყენებს.

R4. მოწყვლადი / დაუცველი ჯგუფების პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა

მას შემდეგ, რაც დადგინდება ვინ მიიღებს დაფინანსებას, სახელმწიფომ უნდა გადაწყვიტოს, უნდა გაუწიონ თუ არა კერძო პროვინციებმა კონკურენცია საჯარო პროვინციებს საუკეთესო სტუდენტების მოზიდვაში, თუ მეტი ყურადღება უნდა გაამახვილონ დაუცველ ჯგუფებზე. გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, სუბსიდირებულ საჯარო პროფესიულ პროგრამებზე შესვლის მოთხოვნები შეიძლება შეიცვალოს და გარკვეულ ჯგუფებს მიენიჭოს უპირატესობა, ანუ „პროფესიული განათლების ტრადიციულ მიმღებებს“; მაგალითად, შეიძლება ასაკობრივი შეზღუდვის დაწესება ახალგაზრდების სასარგებლოდ, უნივერსიტეტის

კურსდამთავრებულებმა შეიძლება ვერ მიიღონ საჯარო დაფინანსება, შეიძლება უპირატესობა მიენიჭოს დაბალი სოციალურ-ეკონომიკური შესაძლებლობების ჯგუფებს.

ერთიანი გამოცდის შინაარსიც შეიძლება ნაკლებად აკადემიური გახდეს ან დაემატოს ელემენტები, რომელიც გაზრდის ნაკლებად წარმატებული სტუდენტების შანსს. კიდევ ერთი გზა არის დაუცველი ჯგუფებისთვის კომპენსაციის მექანიზმების შემუშავება, მაგ. კურსების შეთავაზება რაც მათ გამოცდისთვის მომზადებაში დაეხმარება, სპეციალური ვაუჩერის ღირებულება ოჯახის წარმომადგენლებისთვის. სოფლის მაცხოვრებელი ღირებულება სტუდენტებისთვის შეიძლება საერთო საცხოვრებლის აშენება და ტრანსპორტის კომპენსირება; ეს შეიძლება იყოს საერთო სახელმწიფო პოლიტიკა პროფესიული განათლების ყველა პროვაიდერისთვის, მათ შორის, კერძო პროვაიდერებისთვისაც.

R5. პროფესიული განათლების გაფართოება მოკლე ციკლის პროგრამების საშუალებით

უნდა გავითვალისწინოთ რომ მოსახლეობის, მშობლების, სტუდენტების გარკვეული სეგმენტი ყოველთვის უმაღლეს განათლებას აირჩევს პროფესიული განათლების მიღების სანაცვლოდ, რადგან ეს მათთვის უფრო მიმზიდველი ალტერნატივაა. ამ ტენდენციის საპასუხოდ პროფესიული განათლება შეიძლება მნიშვნელოვნად გაფართოვდეს უმაღლესი განათლების სისტემაში. ეს შესაძლებელია მოკლე ციკლის პროგრამების ISCED 5-დონე-სტიმულირებით, რაც უფრო მეტად გაზრდის პროფესიული განათლების მიმზიდველობას. 2018 წელს უმაღლესი განათლების სისტემაში ჩარიცხული 143 800 სტუდენტიდან მხოლოდ 1700 სტუდენტი მოხვდა ISCED-5 დონის პროფესიულ პროგრამაზე, რაც უნივერსიტეტის სტუდენტების მხოლოდ 1.2% -ს შეადგენს. 2018 წლის პროფესიული განათლების სტუდენტების საერთო რაოდენობისთვის (12 521) ეს 13.6%. დასკვნის სახით, ამ შესაძლებლობის გაფართოების დიდი პოტენციალი არსებობს თუ ამ პროცესში კერძო კოლეჯებიც ჩაერთვებიან.

პროფესიული განათლების ხარისხისა და შესაბამისობის ხარვეზები და რეკომენდაციები

შემოთავაზებული რეფორმები უდავოდ ქმნის გარკვეულ სირთულეებს პროფესიული განათლების სფეროში, რაც მოითხოვს მაღალი დონის ცოდნასა და პროფესიონალიზმს, როგორც პროფესიული პროვაიდერების, ასევე პროფესიული სტუდენტების მხრიდან. ტრენერებისა და სტუდენტების პერსექტივიდან მრავალფეროვანი ინსტიტუტები, სასწავლო კურსები და მრავალფეროვანი სტუდენტები ასევე ართულებენ სწავლა-სწავლების პროცესს. ამრიგად, პროფესიული განათლების მენეჯმენტის სისტემა სასწავლებლის დონეზე კიდევ უფრო რთული ხდება. ზოგიერთი სამიზნე ჯგუფისთვის ამ ახალ სისტემაში გარკვევა შესაძლოა ადვილი არ იყოს. განსაკუთრებით ზოგიერ დაუცველ ჯგუფს შეიძლება გაუჭირდეს სასურველი კურსის, სასწავლებლისა და ა.შ. შერჩევა. ეფექტური ფუნქციონირებისათვის სისტემას დასჭირდება ხარისხიანი კარიერული კონსულტაციის სერვისები. ყველას უნდა მიუწვდებოდეს ხელი ინფორმაციაზე საგანმანათლებლო და კარიერული არჩევანის გასაკეთებლად.

საქართველოში პროფესიონალური კონსულტაციისა და კარიერული დაგეგმვის სერვისების შემუშავება რეგულირდება მთავრობის #721 ბრძანებით (2014 წ.). 2015 წელს კარიერული კონსულტაციის სერვისები შემოიღეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, MoLHSA (SSA) და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ, რომელიც მოგვიანებით გაუქმდა. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის განათლების სისტემაში ეს მნიშვნელოვანი სერვისია, ის ჯერ-ჯერობით საბაზისო დონეზე რჩება, ძირითადად არასაკმარისი კადრების გამო. დაწყებითი და საშუალო განათლების მქონე სტუდენტებს შეზღუდული აქვთ საკონსულტაციო მომსახურებები და მათ ხშირად უწევთ არაინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღება (MoESCS 2019). ზოგად სკოლებში მომსახურება სავალდებულო არ არის, ამიტომ სკოლების მხოლოდ ნაწილი სთავაზობს პროფესიულ ორიენტაციას

მოსწავლეებს. კარიერული კონსულტაცია ხელმისაწვდომია საჯარო პროფესიულ კოლეჯებში, მაგრამ ისინი უფრო მეტად არიან ორიენტირებული მოსწავლეების მოზიდვაზე ვიდრე კარიერულ კონსულტაციაზე(ETF 2018).

სამუშაოს ძიებისა და დასაქმების პროცესში სუსტ კარიერულ კონსულტაციას მოყვება სუსტი მხარდაჭერა; ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდებისთვის, რომლებიც პირველად შედიან შრომის ბაზარზე. სოციალური მომსახურების სააგენტოს ცნობით, რეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებელთა რაოდენობა (ონლაინ პლატფორმაზე worknet.gov.ge) მნიშვნელოვნად გაიზარდა, რომელთა ორი მესამედი არის განათლების დაბალი საფეხურის კურსდამთავრებული; ამ ჯგუფს, რა თქმა უნდა, შეუძლია ისარგებლოს პროფესიული განათლებით (MoESCS 2019). ახალგაზრდები და მშობლები ხშირად იღებენ მნიშვნელოვან ცხოვრებისეულ გადაწყვეტილებებს არასაკმარის ინფორმაციის საფუძველზე. ეს განსაკუთრებით ეხება სოციალურ-ეკონომიკურად დაუცველი რეგიონებისა და სოფლის მაცხოვრებლებს.

პროფესიული განათლების ხარისხისა და შესაბამისობის გაუმჯობესების მიზნით, უმნიშვნელოვანესია სხვადასხვა გზით კერძო სექტორის ჩართვა (დიზაინი, მიწოდება, დაფინანსება). განათლების სამინისტრომ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო კერძო სექტორთან თანამშრომლობას, იქნება ეს დუალური განათლების ან სამუშაოზე დაფუძნებული სხვა ფორმების სახით, რომელსაც ასევე მრავალი დონორი უჭერდა მხარს პილოტირების პროცესში. მიუხედავად ამისა, კერძო სექტორის წვლილის გაზრდა ადვილი არ არის, რადგან კერძო სექტორი საქართველოში ძირითადად მიკრო და მცირე საწარმოების სახით არის წარმოდგენილი. შესაბამისად, დუალური/სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება არ არის მხოლოდ პროფესიული განათლების საგანი. უფრო მეტიც, ორივე მათგანი მოითხოვს მნიშვნელოვან ცვლილებებს ქვეყნის ეკონომიკურ და ინდუსტრიულ სტრუქტურებში (ETF 2018).

ნებისმიერ შემთხვევაში, ყველა პროფესიული განათლების პროგრამა დუალური სახით ვერ განორციელდება. გერმანიაშიც კი, დუალური პროგრამების წილი მთელს პროფესიული განათლების სისტემაში არ აღემატება 30% -ს. დანარჩენ ნაწილს წარმოადგენს სამუშაოზე დაფუძნებული პროგრამების სხვა ტიპები, მოდულარული პროგრამები, სკოლაზე დაფუძნებული პრაქტიკული სწავლება, სტაჟირების პროგრამები და ა.შ. სუსტი და ფრაგმენტული კერძო სექტორი ა ვერ შეიტანს სასურველ წვლილს პროფესიული განათლების სისტემაში, რადგან მცირე კომპანიებისთვის ეს წვლილი შეიძლება ძვირი და შრომატევადი იყოს. უფრო მეტიც, მცირე კომპანიების მიერ შეთავაზებული ტრენინგის ხარისხი შეიძლება სტანდარტებს არც შეესაბამებოდეს. დამსაქმებლებთან თანამშრომლობის კონკრეტული მექანიზმები არ არსებობს და მიმდინარე სამუშაოზე დაფუძნებული სისტემა პირველ რიგში ემყარება დონორების მიერ დაფინანსებულ პროექტებს. ალბათ დროა მოიძებნოს პირველი დასაქმების უფრო ინოვაციური და ეფექტური გზები, ვიდრე უბრალოდ მოხდეს მსოფლიოში ყველაზე ინდუსტრიული ქვეყნიდან დუალური განათლების სისტემის უბრალოდ გადმოტანა.

დაბოლოს, ხარისხიანი პროფესიული განათლებისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია პროფესიული განათლების მასწავლებლების ხარისხისა და სტატუსის ამაღლება. როგორც წინა თავებში აღვნიშნეთ, ამ მიმართულებით ბევრი ინიციატივა განხორციელდა. თუმცა, უმეტესი მათგანი რჩება მხოლოდ წერილობით „პოლიტიკის დოკუმენტებად“. უფრო მეტიც, კომპეტენტური სტუდენტების/პირების მასწავლებლის პროფესიაში შემოყვანა ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც მასწავლებლის საწყისი განათლება და მათი უწყვეტი პროფესიული განვითარება. ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ უკავშირდება მასწავლებლების დაბალ ხელფასებსა და პენსიებს, მასწავლებლების დასაქმებას სკოლის დირექტორების

შეხედულებისამებრ და დაუცველ და არამომხიზველელ სამუშაო პირობებს. პედაგოგების მიმართ წაყენებული მზარდი მოთხოვნების ფონზე შეიძლება გაგვიჩნდეს კითხვა: ამ მოთხოვნების ფონზე ვუხდით კი მასწავლებლებს საკმარის ხელფასს? მასწავლებელთა მზარდაჭერა გადამწყვეტია ნებისმიერი საგანმანათლებლო რეფორმის წარმატებისთვის.

ქვემოთ განსახილველად მოცემულია რამოდენიმე რეკომენდაცია.

R1. სისტემური კონსულტაცია და კარიერული ხელმძღვანელობა ყველა სტუდენტის/სამუშაოს მაძიებლისათვის

ცოტა ხნის წინ განათლების სამინისტრომ პროფესიული განათლებისა და კოლეჯების პარტნიორობით დაიწყო პროგრამის "სამუშაო უნარების განვითარება", რათა სკოლის მოსწავლეებს გააცნოს პროფესიები. მიუხედავად იმისა, რომ ეს სწორი წინგადადგმული ნაბიჯია, ქვეყანას სჭირდება მთელი სისტემის შემუშავება სისტემური და რეგულარული კონსულტაციის უზრუნველსაყოფად. მაგ. საშუალო განათლებიდან, პროფესიული განათლების ზედა საშუალოდან უმაღლესი განათლების მიმართულებით. სისტემური ინფორმაციის მიწოდება და საკონსულტაციო დახმარება უნდა იყოს ხელმისაწვდომი მთელს სისტემაში, ყველა მოსწავლისთვის/სტუდენტისთვის.

კონსულტაცია უნდა გაგრძელდეს სამუშაოს ძიების პერიოდშიც, სწავლის დასრულების შემდეგ, განსაკუთრებით პირველი დასაქმების დროს. ეს მოითხოვს კარიერული კონსულტაციის პროფესიონალთა ტრენინგს განათლებასა და დასაქმებასთან დაკავშირებული კონსულტაციის უზრუნველყოფაში. სწავლის სხვადასხვა ეტაპზე ყველა მოსწავლეს დასჭირდება კონსულტაცია და ხელმძღვანელობა, რომ სწორი გადაწყვეტილებები მიიღონ როგორც განათლების ასევე პროფესიის არჩევისას. ეს მეტია, ვიდრე სტუდენტებისათვის უბრალოდ პროფესიის გაცნობა. დაბოლოს, საკონსულტაციო და სახელმძღვანელო სერვისები ვერ იქნება ეფექტური, თუ ისინი უზრუნველყოფილი არ იქნება უწყვეტად, ზოგადი განათლებიდან პროფესიულ და უმაღლეს განათლებაზე გადასვლისას და პირველი დასაქმებისას. ამიტომ, ყველა პროვაიდერი (და დასაქმების სერვისები) უნდა იყოს დაკავშირებული ამ მომსახურების უზრუნველყოფაში.

R2. ძლიერი ტექნიკური უნარების ძირითად კომპეტენციებთან შერწყმა

ვინაიდან ფუნდამენტური და ზოგადი უნარების ფლობა პრობლემაა, მნიშვნელოვანია სასწავლო პროგრამებში საკვანძო კომპეტენციების გაერთიანება განათლების ყველა დონეზე მათ, შორის პროფესიული განათლებაზეც. ევროკავშირის ძირითადი კომპეტენციების ჩარჩოს რვა კომპეტენცია შეიძლება ინტეგრირდეს განათლების სისტემაში. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიმუშავა სამეწარმეო განათლების კონცეფცია პროფესიული განათლების სფეროში; მიუხედავად იმისა, რომ ეს პოზიტიური ინიციატივაა, სამეწარმეო განათლება შეიძლება ადრეული ასაკიდან დაიწყოს (მაგ. საშუალო სკოლებში) და გაგრძელდეს უმაღლეს განათლებაში. მეტი ყურადღება და რესურსები უნდა დაეთმოს რეგიონებსა და სოფლებს, სადაც მეტად არის საჭირო საბაზო (მათემატიკა, მეცნიერება, კითხვა) და სხვა საკვანძო კომპეტენციების (მაგ. ციფრული ცოდნა, უცხო ენები, რბილი ცოდნა) გაუმჯობესება.

R3. კერძო სექტორთან, როგორც თანაბარ პარტნიორებთან თანამშრომლობა ახალი პირობებით

პროფესიული ტრენინგების განხორციელების ნებართვა კომპანიებისთვის გაადვილებულია, მაგრამ კერძო სექტორის მოსაზიდად პროფესიული განათლების სფეროში ეს შეიძლება არ იყოს საკმარისი. თუ ეს არ არის მხოლოდ სამინისტროსა ან პროფესიული განათლების დონორების სურვილი, კერძო სექტორი სხვადასხვა გზით უნდა ჩაერთოს პროფესიული განათლების სფეროში. თემა გადასულია უფრო მაღალ პოლიტიკურ დონეზე, სადაც მსჯელობაა დაწყებული პოლიტიკის შემქმნელებსა და დამსაქმებელთა ყველა ორგანიზაციას შორის (მათ შორის, თავდაცვის სამინისტრო) პროფესიული განათლების სისტემაში

შედავითების შესახებ. კერძო სექტორთან თანამშრომლობა მოითხოვს პროფესიული განათლებისა და მენეჯმენტის ახალ მიდგომას, ვიდრე სამინისტროს მიერ ინიცირებულ მარტივ კომუნიკაციასა და კონსულტაციას. დუალური განათლების პროექტებში ფინანსური სტიმულირების გზით შეიძლება მოხდეს ინდუსტრიის ზოგიერთი წარმომადგენლის ჩართვა, მაგრამ აქცენტი უნდა გაკეთდეს იმაზე, თუ როგორ უნდა გააფართოვოს ეს ჩართულობა პროექტის დასრულების შემდეგ. უფრო მეტიც, შეიძლება შეიქმნას სპეციალური მექანიზმი, რომელიც დაეხმარება მცირე და მიკრო ბიზნესს პროფესიული ტრენინგის შეთავაზებაში, ან ხელს შეუწყობს მათ კოლექტიურ ტრენინგებს ეკონომიკურ კლასტერების მიხედვით.

R4. პროფესიული სტუდენტების პირველი სამუშაო გამოცდილების დივერსიფიკაცია

იმის გათვალისწინებით, რომ კერძო სექტორი სუსტია და ფრაგმენტული, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლისა და შეგირდობის გარდა, შეიძლება პირველი სამუშაო გამოცდილების სხვა ალტერნატივების შეთავაზებაც, როგორცაა მაგალითად, სტაჟირება, მოხალისეობრივი დასაქმება, სტუდენტებისთვის საზაფხულო დასაქმება, თვითდასაქმების პილოტაჟი, სოციალური მეწარმეობის ინიციატივები და მცირე ბიზნესის წამოწყება. სხვა არსებული პროგრამები (ე.ი. სტაჟირება საჯარო სამსახურში) შეიძლება უკეთ დაუკავშირდეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დასაქმების სამსახურებს. სხვა ვარიანტია იურიდიული და პრაქტიკული მექანიზმების შექმნა და სოციალური მეწარმეობის განვითარების სტიმულირება. რადგან სოციალური მეწარმეები არ არიან ბიზნესის წარმომადგენლები, არამედ ნებაყოფლობითი ინიციატივის ამღები პირები, რომლებიც ამუშავებენ, აფინანსებენ და ახორციელებენ გადაწყვეტილებებს სოციალურ, კულტურულ თუ ეკოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებით, მათ შეუძლიათ ახალგაზრდებს შესთავაზონ მნიშვნელოვანი გამოცდილება. სოციალური საწარმოები ახალგაზრდებს შესაძლებლობას აძლევენ შეისწავლონ მისიის, დამოუკიდებლობისა და ემანსიპაციის მიღწევის ინოვაციური გზები მეწარმეობის გზით.

R5. პედაგოგების სტატუსის გაზრდა და რეფორმების მხარდაჭერა

პროფესიული განათლების სფეროში მასწავლებელთა როლი გადამწყვეტია. მასწავლებელთა ხელფასების ზრდა, მათი სამუშაო სტატუსისა და სამუშაო პირობების გაუმჯობესება ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც მათი უწყვეტი პროფესიული განვითარება. ეს ხელს შეუწყობს სფეროში გამოცდილი პროფესიონალების შემოსვლას, ხოლო ნათელი კრიტერიუმების/მექანიზმების შემუშავება შეამცირებს სკოლის დირექტორთა შეხედულებისამებრ მასწავლებლების დასაქმებას. პროფესიული განვითარების ჩარჩო შეიძლება შეიცავდეს სწავლის შესაძლებლობებს როგორც პედაგოგიკაში, ისე, თანამედროვე ტექნოლოგიებსა და მიდგომებში. და ბოლოს, მასწავლებელთა გაცვლითი პროგრამები და საერთაშორისო დაწესებულებებთან ერთობლივი კურსები შეიძლება მასწავლებელთა განვითარების დამატებითი სტიმული გახდეს. ეს ღონისძიება საჭიროებს დამატებით რესურსებს, მაგრამ ასევე (ნახევარ განაკვეთზე) სისტემის ეფექტურობის შეფასებასა და არსებული რესურსების უფრო ეფექტურად გამოყენებას.

4. დასკვნები

ETF- ის შეფასებაში განხილულია ისეთი საკითხები, როგორცაა საქართველოში ადამიანური კაპიტალის განვითარება, პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა და ხარისხი. ძირითადი გამოწვევების შემდეგ, განხილულია საქართველოში ადამიანური კაპიტალის განვითარების სისტემის ძირითადი მახასიათებლები.

ანგარიშში დადასტურებულია ის ფაქტი, რომ ქვეყანამ ბოლო ათწლეულში მნიშვნელოვანი სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას მიაღწია და განავითარა სერვისები. თუმცა ეკონომიკური ზრდა ვერ ქმნის საკმარისი რაოდენობის სამუშაო ადგილებს, რომელთა უმეტესობა კონცენტრირებულია დედაქალაქში. საქართველოში მუდმივად არის დაბალი

მოთხოვნილება მაღალკვალიფიციურ სამუშაო ძალაზე, რაც ასევე იწვევს ადამიანური კაპიტალის არასათანადო გამოყენებას. უნარების შეუსაბამობა მიანიშნებს შრომის ბაზარზე არსებულ არაეფექტურობასა და სამუშაო ძალის დაბალ მოთხოვნაზე. ახალგაზრდებს უწევთ გრძელი და რთული პერიოდის გავლა განათლებიდან დასაქმებამდე; პირველი დასაქმება ყველაზე რთულია. მიუხედავად ამისა, არსებული სტატისტიკიდან ჩანს, რომ საშუალო პროფესიული განათლებისა და უმაღლესი განათლების კურსდამთავრებულები უკეთესად ახერხებენ შრომის ბაზარზე გასვლას, ვიდრე მხოლოდ საშუალო ზოგადი განათლების კურსდამთავრებულები.

პროფესიული განათლების სისტემას შეუძლია წვლილის შეტანა ზემოხსენებული საკითხების გადაჭრაში. ანგარიშში განხილულია რამდენად არის პროფესიული განათლების პოტენციური გამოყენებული არსებული ეკონომიკური და სოციალური გამოწვევების მოსაგვარებლად. ცხადია, პროფესიული განათლება ამ პრობლემების მოგვარებას დამოუკიდებლად ვერ შეძლებს, მაგრამ წვლილის შეტანა შეუძლია. ამასთან, ანალიზისას ხაზგასმულია ორი არსებითი პრობლემა რომელთა გადაჭრაც მნიშვნელოვანია. უთანასწორო ხელმისაწვდომობა, ნაკლები მონაწილეობა პროფესიულ განათლებაში და განსხვავებული ხარისხი და შესაბამისობა. განსაკუთრებული ადგილი ეთმობა მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის პერსპექტივაში პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის, რელევანტურობისა და მიმზიდველობის საკითხებს. საქართველოს ხელისუფლებისთვის კარგად ნაცნობია ეს გამოწვევები და ამიტომაც ჩამოაყალიბა ამბიციური რეფორმების დღის წესრიგი მიმზიდველი, ხელმისაწვდომი და შესაბამისი პროფესიული განათლების მისაღწევად. პოლიტიკის ძირითადი პასუხები ამ მიზნების მისაღწევად აქტუალური და კარგად შემუშავებულია.

ამ ანგარიშში გაანალიზებულია თუ რა არის შესაძლებელი განხორციელებისას და რა არა. პოლიტიკის შემქმნელებმა უნდა გადაამოწმონ 'სურვილების სიასა და რეალურ საქმეებს შორის' განსხვავება, თუკი მათ სურთ პროფესიული განათლების რეფორმის წარმატება. პროფესიულმა განათლებამ რა თქმა უნდა, შეიძლება ხელი შეუწყოს როგორც ეკონომიკურ განვითარებას, ასევე სიღარიბის შემცირებას საქართველოში, მაგრამ ამისათვის საჭიროა მისი ადაპტირება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ რეალობასთან. უფრო მეტიც, აუცილებელია ზოგად, პროფესიულ და უმაღლესი განათლებას შორის მჭიდრო კოორდინაცია და თანამშრომლობა; მთავარ დაინტერესებულ მხარეებთან (განსაკუთრებით დამსაქმებლებთან) თანამშრომლობა მოითხოვს მართვისა და ძალაუფლების გაზიარების განსხვავებულ მიდგომას, და არა მარტივ კომუნიკაციას და კონსულტაციას სამინისტროსთან.

წყაროები

Badurashvili, Irina, Michael Gebel, Nino Kobakhidze, Giorgi Meladze and Rusudan Nadiradze (2019), Descriptive analyses of youth transitions in Georgia, TEW-CCA Working Paper No. 4.2. Bamberg: TEW-CCA Project, University of Bamberg.

ETF (2019), Skills mismatch measurement in Georgia, www.etf.europa.eu/en/publications-and-resources/publications/skills-mismatch-measurement-georgia

ETF (2018), Youth transition to work in Georgia, drafted by Ana Diakonidze and Ummuhan Bardak, see: www.etf.europa.eu/en/publications-and-resources/publications/youth-transition-work-georgia

ETF (2016), Mapping of the work-based learning landscape in Georgia, report drafted by Thea Siphashvili and reviewed by ETF, July 2016, (unpublished).

ETF (2015), Migrant Support Measures from Employment and Skills Perspective (MISMES): Georgia report, http://www.etf.europa.eu/web.nsf/pages/MISMES_Georgia

Geostat (2018), Employment and unemployment in Georgia – Statistical Yearbook 2018, Geostat.

GITA (Georgia's Innovation and Technology Agency) (2017), IT Skills Needs Assessment,

IBRD and World Bank (2018), Georgia at Work: Assessing the Jobs Landscape, available at: <http://documents.worldbank.org/curated/en/995521527068940160/pdf/126461-WP-P165644-PUBLIC-GeorgiaJDPrinting.pdf>

IBRD and World Bank (2019), Education Sector Loan – Project Appraisal Document, Georgia Innovation-Inclusion-Quality Project 2019-2026, 22 April 2019, Report no: PAD3221.

Ministry of Education, Science, Culture and Sport (MoESCS) (2017), The results of tracer study with VET graduates 2016 and 2017, Tbilisi.

Ministry of Education, Science, Culture and Sport (MoESCS) (2019), National Torino Process Report 2018-2020: Georgia, Tbilisi.

Ministry of Economy and Sustainable Development (MoESD) (2018a), Labour market analysis of Georgia 2018, accessed at: <http://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Handlers/GetFile.ashx?Type=Content&ID=090013a0-4e24-4222-9e1b-c3f8dbccaa9d>

Ministry of Economy and Sustainable Development (MoESD) (2018b), Survey of Labour Market Demand in the Tourism Industry.

OECD (2016), PISA 2015 results (Volume I) – excellence and equity in education, accessed at: <http://www.oecd.org/publications/pisa-2015-results-volume-i-9789264266490-en.htm>.

OECD (2019), Education reforms in Georgia, draft report (forthcoming).

SAVE-DEPA (2018), Youth-focused Labour Market Assessment (Kakheti, Shida Kartli, Samegrelo-Zemo Svaneti and Mtskheta-Mtianeti), Save the Children, DEPA Consultancy under the EU4Youth programme.

UN Department of Economic and Social Affairs (DESA) (2017), Trends in International Migrant Stock: Revised data for 2017 based on the country of birth statistics, United Nations database, accessed at <http://www.un.org/en/development/desa/population/migration/data/estimates2/estimates15.shtml>

UNDP (2018), Human Development Indices and Indicators: 2018 Statistical Update, accessed at http://www.hdr.undp.org/sites/default/files/2018_human_development_statistical_update.pdf

Vashakmadze, S. (2017), The perspectives of the dual education system in Georgia, Ilia State University, Tbilisi, accessed at:
<http://eprints.iliauni.edu.ge/6451/1/Pages%20from%20%E1%83%A8%E1%83%9D%E1%83%97%E1%83%90%20%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%90%E1%83%A7%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%94.pdf>.

World Bank (2013), Georgia - Skills mismatch unemployment labour market challenges. Washington DC; World Bank, available at:
<http://documents.worldbank.org/curated/en/999371468242985088/Georgia-Skills-mismatch-unemployment-labor-market-challenges>

World Bank (2014a), STEP Skills measurement survey in Georgia,
<http://microdata.worldbank.org/index.php/catalog/2013/download/37386>

World Bank (2014b), Georgia education sector policy review: strategic issues and reform agenda,
<https://openknowledge.worldbank.org/bitstream/handle/10986/26443/ACS110590WP0P1485800Box385399B00OU090.pdf?sequence=1&isAllowed=y>.

WIIW (2019), Georgia's Economic Performance: Bright Spots and Remaining Challenges, by Tinatin Akhvlediani and Peter Havlik, Policy Note No. 29, April 2019,
<https://wiiw.ac.at/georgia-s-economic-performance-bright-spots-and-remaining-challenges-p-4892.html>


დანართი 1. რეკომენდაციების შეჯამება

ადამიანური კაპიტალის განვითარებისა და გამოყენების პრობლემა	რეკომენდაციები	
	რეკომენდაცია	აღწერა
<p>არათანაბარი ხელმისაწვდომობა და ნაკლები მონაწილეობა პროფესიული განათლების სფეროში</p> <p>(რაოდენობასთან დაკავშირებული საკითხი)</p>	<p>R1.</p> <p>“პროფესიული განათლების მომხმარებლების” უკეთესად გაცნობა და მოცვა</p>	<ul style="list-style-type: none"> • პროფესიული განათლებისა მონაწილეთა პროფილისა და მოტივაციების უკეთ გაგება რაოდენობრივი და ხარისხობრივი კვლევების საშუალებით. • პროფესიული განათლების აპლიკანტებისა და ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობას შორის განსხვავების კვლევა • სუბსიდირებული პროფესიული განათლების მთავარი მიზნობრივი ჯგუფის დაზუსტება (ასაკის, განათლების, შემოსავლის, რეზიდენტურის, სიღარიბის დონის და ა.შ.) მიხედვით
	<p>R2.</p> <p>პროფესიული განათლების ყველა პროვაიდერისთვის ერთი და იგივე წესების შექმნა</p>	<ul style="list-style-type: none"> • ყველა პროფესიული განათლების მიმწოდებლისთვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნა (საჯარო, კერძო, არასამთავრობო ორგანიზაციების ტიპის) • განწყობა პროფესიული სისტემა გახდეს ”ერთი დიდი ოჯახი” და სისტემის ერთად მართვა • ამან შეიძლება გაზარდოს პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა და შეამციროს გეოგრაფიული ბარიერები.
	<p>R3. პროფესიული განათლების ვაუჩერული დაფინანსების სისტემის გაუმჯობესება</p>	<ul style="list-style-type: none"> • პროფესიული განათლების ყველა პროვაიდერი უნდა იღებდეს დაფინანსებას მკაფიო წესების საფუძველზე, რაც შეამცირებს ფინანსურ ბარიერებს. • ვაუჩერების მქონე სტუდენტებს შეუძლიათ გააკეთონ არჩევანი პროფესიული განათლების მიმწოდებლებს შორის. • პროფესიული განათლების დაშვების ერთიანი ტესტირება გამოიყენება ყველა პროფესიული პროვაიდერისთვის, მათ შორის კერძო სასწავლებლებისთვის
	<p>R4.</p> <p>ნაკლებად წარმატებული / დაუცველი ჯგუფებისათვის პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება</p>	<ul style="list-style-type: none"> • საჯარო პროფესიულ კოლეჯებში მიღების პირობებში მოთხოვნების ცვლილება(მაგ., ასაკი, განათლება, შემოსავალი და საცხოვრებელი ადგილი). • დაბალი სოციალურ-ეკონომიკური ოჯახების სტუდენტებს პროფესიულ განათლებაზე ჩარიცხვისას პრიორიტეტი ენიჭებათ • ღონისძიებების გატარება როგორც აკადემიური, ისე ფინანსური ბარიერების შესამცირებლად.

	R5. ზედა საფეხურის პროფესიული განათლების გაფართოება მოკლე ციკლის პროგრამების მეშვეობით;	<ul style="list-style-type: none"> • მოკლე ციკლის პროგრამები ისწავლება უმაღლეს განათლებაში პროფესიული განათლების შეთავაზებისა და მომხიბვლელობის გაზრდის მიზნით.
<p>პროფესიული განათლების ცვალებადი ხარისხი და შესაბამისობა</p> <p>(ხარისხის საკითხი)</p>	R1. სისტემური კარიერული კონსულტაცია ყველა სტუდენტისთვის / სამუშაოს მაძიებლისათვის	<ul style="list-style-type: none"> • კარიერული კონსულტაცია უწყვეტად ხორციელდება განათლების სისტემის ყველა საფეხურზე • ყველა სტუდენტს აქვს წვდომა ინფორმაციაზე საგანმანათლებლო და პროფესიული არჩევანის გასაკეთებლად • ინფორმაციული ბარიერი შემცირებულია კომპლექსური პროფესიული სისტემის ფუნქციონირებისთვის.
	R2. ძლიერი ტექნიკური უნარების შერწყმა ძირითად კომპეტენციებთან	<ul style="list-style-type: none"> • დამსაქმებელთა მოთხოვნის შესაბამისად ტექნიკურ უნარებს ავსებენ ძირითადი კომპეტენციები. • განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ფუნდამენტურ და გამჭოლ უნარებზე განსაკუთრებით რეგიონებში და სოფლად.
	R3. კერძო სექტორთან, როგორც თანაბარ პარტნიორთან თანამშრომლობა	<ul style="list-style-type: none"> • ინსენტივების შეთავაზება, რომ კერძო სექტორმა პროფესიულ განათლებაში მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა გზით • მცირე კომპანიების მხარდაჭერა კოლექტიური ტრენინგის შეთავაზებაში • პროფესიულ განათლებაში მენეჯმენტის ახალი მოდელის დანერგვა, რომელიც ითვალისწინებს ერთობლივ მართვასა და ძალაუფლების გაზიარებას
	R4. პროფესიული განათლების სტუდენტების პირველი სამუშაო გამოცდილების დივერსიფიცირება	<ul style="list-style-type: none"> • ღონისძიებების გატარება სუსტი და ფრაგმენტული კერძო სექტორის შეზღუდვების შესამცირებლად • პირველი სამუშაო გამოცდილების სხვადასხვა ალტერნატივის სისტემური შესწავლა (სტაჟირება, მოხალისეობა, საზაფხულო სამუშაოები, სოციალური მეწარმეობა).
	R5. მასწავლებელთა სტატუსის გაზრდა და რეფორმების მხარდაჭერა	<ul style="list-style-type: none"> • ახალი კანონის შემდეგ მასწავლებელთა სტატუსი გაუმჯობესებულია. • გაუმჯობესებული ხელფასები და სამუშაო პირობები ხელს უწყობს ახალგაზრდების შესვლას სისტემაში • პროფესიული მასწავლებლებისთვის შემუშავებულია და ხორციელდება დამსახურების საფუძველზე დაქირავებისა და გათავისუფლების სისტემა

ზოგადი რეკომენდაციები (გამჭოლი საკითხები)	R1. განხორციელების მიზანშეწონილობის / მდგრადობის საკითხებზე ფოკუსი	<ul style="list-style-type: none"> • რეფორმების ამბიციური ხასიათი • პრიორიტეტების დიდი რაოდენობა • პროფესიული განათლების სისტემის კომპლექსური სტრუქტურა, რომელში გარკვევაც მოითხოვს მაღალ პროფესიონალიზმს • მომსახურების მიმწოდებლებისა და საბოლოო მომხმარებლების მუდმივი მხარდაჭერის საჭიროება
	R2. პოლიტიკის შემუშავების ნაცვლად პოლიტიკის დანერგვაზე ფოკუსი	<ul style="list-style-type: none"> • პოლიტიკის შემუშავების დონეზე ყურადღების გამახვილება • განხორციელების მიდგომები ყოველთვის არ არის ნათელი • საკმარისი ყურადღება არ ექცევა სერვისის მიმწოდებლებისა და საბოლოო მომხმარებლების საჭიროებებს • დანერგვისას განსაკუთრებული ყურადღება არ ექცევა რეგიონებს / სოფლებს
	R3. ფინანსური და ადამიანური რესურსების გაუმჯობესება	<ul style="list-style-type: none"> • საკმარისი ყურადღება არ ექცევა ბიუჯეტისა და პერსონალის განვითარებას • განხორციელების შეზღუდული შესაძლებლობები რეგიონებში/სოფლებში • დონორების ჩარევებზე დამოკიდებულება • რეგიონებში ეფექტური განხორციელების რისკი

დანართი 2. საქართველოს განათლების სისტემა



Source: <http://eqe.gov.ge>